

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: ნინო თაქთაქიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი:

აუცილებელი მოგერიების ფარგლები

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ალექსანდრე გიორგიძე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2019 წ

განაცხადი

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

ნინო თაქთაქიშვილი _____/-----/-----/2019 წ.

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილავ აუცილებელი მოგერიების ფარგლების წარმომშობ და განმაპირობებელ ფაქტორებს. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას და მოჩვენებითი აუცილებელი მოგერიების მნიშვნელობას და გამოვიკვლევ აღნიშნული ნორმის იურიდიულ ბუნებას. ნაშრომის ფარგლებში მიმოვიხილავ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გარჩევის გზებს და მეთოდებს.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილი იქნება სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც უფრო თვალსაჩინოს გახდის საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების შესახებ.

აუცილებელი მოგერება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნორმის სახით განისაზღვრა 1960 წელს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აქტიურად ჩაერთო მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების – აუცილებელი მოგერიების ფარგლების განხილვაში რომლისთვისაც იყენებს საერთაშორისო გამოცდილებას.

მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის

გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების განმარტება ხდება არამარტო საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიერ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლები წარმოადგენს პრობლემატიკას. შესაბამისად, განსხვავებულია აღნიშნული პრობლემისადმი მიდგომაც.

Annotation

The scope of the necessary repulsion

Nino Taktakishvili

The present work deals with the action envisaged by the Criminal Code of Georgia in the condition of the necessary fraud.

In the master's work I will discuss the factors that create and define the scope of the necessary repulsion. To overcome the scope of the necessary repulsion and the importance of futile necessity and examine the legal nature of this norm. In the framework of the study, review the ways and methods of the scope of the necessary repulsion.

The paper will also present statistical data that will make it more visible to the legal situation of Georgia on the scope of the necessary fraud.

Necessity to repel as the circumstance of exclusion of the law in the form of a norm in the Criminal Code of Georgia was determined in 1960. Consequently, the state actively engaged in the environmental exclusion - the scope of the necessary fraud in which the international experience is used.

It is not unlawful to those who violate the lawlessness of the offender to protect his or her legal good. The person who has the right to repulsion may have the right to prevent it from being infected or to invade others. Damage to the property is legitimate for the return of the property or other legal good that has been taken out of illegal possession, even if it has occurred immediately after the transition to the hands of the handset and if the immediate return could be returned.

The overriding scope of the necessary repulsion means the obvious inconsistency in the defense of the attacker with the nature and danger of attack.

The scope of the necessary futures is not only based on the legislation of Georgia, but by the legislation of many countries of the world. Therefore, it can be said that the scope of the necessary fusing is a problem. Consequently, the approach to this problem is different.

შინაარსი

შესავალი.....	8
თავი I. აუცილებელი მოგერიების წარმოშობა და განვითარება სისხლის სამართალში.....	11
1.1 აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის განვითარების ეტაპები მსოფლიოში.....	11
1.2 აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტი საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საქართველოში.....	15
1.3 აუცილებელი მოგერიების წარმოშობა ადრეულ ანგლო-ამერიკულ სამართალში.....	16
თავი II. აუცილებელი მოგერიების ცნება და არსი.....	17
2.1 აუცილებელი მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება.....	17
2.2 აუცილებელი მოგერიება, როგორც უფლება.....	22
2.3 აუცილებელი მოგერიება, როგორც თავდამსხმელის დაზიანება.....	27
თავი III. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები.....	31
3.1 ხელყოფის მართლწინააღმდეგობა და რეალურობა.....	31
3.2 ხელყოფის ანუ საფრთხის იმწუთიერობა.....	32
3.3 ხელყოფის რელევანტურობა და მისგან თავდაცვის ნებადართულობა.....	34
თავი IV. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.....	36
4.1 აუცილებელი მოგერიების ფარგლები და მათი გადაცილების საკითხი ქართულ სისხლის სამართალში.....	36
4.2 აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.....	39
4.3 მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.....	40

თავი V. აუცილებელი მოგერიების გამოყენების სოციალური ეთიკის შეზღუდვა.....	42
5.1 აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვები.	42
5.2 აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვების შემთხვევების კლასიფიკაცია.....	43
5.3 საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების შეზღუდვა.....	45
თავი VI. აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია და მისი სახეები.....	48
6.1 აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის სახეების კლასიფიკაცია.....	48
6.2 აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის თეორიები.....	50
6.3 პროვოკაციის პრობლემა აუცილებელი მოგერიების დროს.....	51
სასამართლო პრაქტიკა.....	53
დასკვნა.....	66
გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა.....	68

შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებულია მართლწინააღმდეგობის ერთ-ერთი გამომრიცხველი გარემოება - აუცილებელი მოგერიება. აღნიშნული მუხლი საქართველოს კანონმდებლობაში 1960 წლიდან გვხვდება, რაც იმაზე მეტყველებს რომ ამ პერიოდში აუცილებელი მოგერიების ფარგლებმა საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი საქართველოში და აუცილებელი გახდა მისი, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების პირდაპირი განსაზღვრა.

მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების განმარტება ხდება არამარტო საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიერ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლები წარმოადგენს პრობლემატიკას. შესაბამისად, განსხვავებულია აღნიშნული პრობლემისადმი მიდგომაც.

კვლევის აქტუალობა: ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას,

აუცილებელი მოგერიების ფარგლები წარმოადგენს. გამონაკლისი არც საქართველოა. გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლები, ძალზედ დიდია, კვლევისთვის საინტერესოა, თუ როგორ არეგულირებს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი კანონმდებლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების სტრუქტურას.

კვლევის მიზანი და ამოცანა. ჩემი ნაშრომის მიზანი და ამოცანა არის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გამოკვლევა, მათი სამართლებრივი შეფასება და შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სწორი და ხელმისაწვდომი რეკომენდაციების შემუშავება აღნიშნულისთვის. გარდა ამისა, ნაშრომის შესრულებისას მიმოვიხილავ სასამართლო პრაქტიკის მიდგომის სამართლებრივ მხარეს, მისი დასაბუთებულობის საფუძვლიანობას და შევადარებ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებით გათვალისწინებულ მიმოხილვას. ძირითადი აქცენტი გაკეთდება აუცილებელი მოგერიების ფარგლებზე. აქ იგულისხმება, როგორც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად ხელმყოფის დაზიანება.

კვლევის საგანი და ობიექტი: ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის საგანი და ობიექტს წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების კვალიფიკაციის პრობლემური საკითხების განხილვა სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით. ასევე მიზანია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მომწესრიგებელი ნორმების განმარტება ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნების მოშველიების საფუძველზე.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები. რაც საბოლოო ჯამში, აუცილებელი მოგერიების ფარგლების სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით მკითხველს შეუქმნის სრულ სურათს.

კვლევის სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, 6 თავის, 18 ქვეთავის, სასამართლო პრაქტიკის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა სულ შეადგენს 70 გვერდს, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 3 გვერძე.

თავი I

აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის წარმოშობა და განვითარება სისხლის სამართალში.

1.1 აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტის განვითარების ეტაპები მსოფლიოში.

აუცილებელი მოგერება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, რომლის დროსაც არ ისჯება მკვლელობა, სხეულის დაზიანება, წარმოიშვა უძველეს დროს, მონათმფლობელური სახელმწიფოების პირველი საკანონმდებლო ძეგლების გამოჩენისთანავე.¹

აუცილებელი მოგერება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტს. დანაშაულის არარსებობის გამო, სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გამომრიცხავ გარემოებათა ორკვალიან სისტემაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტს განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი, სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტების მსგავსად, წარმოიშვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან ერთად და ვითარდებოდა სახელმწიფოებრივი და სოციალური ხასიათის მთელი რიგი პირობების გათვალისწინებით.

როგორც თავად აუცილებელი მოგერიების ცნება, ისე აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები და მისი დასაშვებობის ფარგლები, იცვლებოდა ისტორიული განვითარების პროცესში, ამა თუ იმ ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური წყობის თავისებურებების გათვალისწინებითა და მათ კვალდაკვალ.

¹ ი. ხერხელიძე., აუცილებელი მოგერება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 16.

ცხადია, მონათმფლობელური სახელმწიფოების სისხლის სამართალი, იცავდა მონათმფლობელურ სისტემას, მის ინტერესებს. ძველ რომში აუცილებელი მოგერიება აღიარებული იყო, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლება. რომელი იურისტები აუცილებელ მოგერიებად მიიჩნევდნენ ისეთ მოქმედებას, რომელსაც ახასიათებდა ორი ძირითადი პირობა: უსამართლო თავდასხმა და საფრთხის გარდაუვალობა.

უცილებელი მოგერიების უფლების ცნება შუასაუკუნეების კანონმდებლობაში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა აუცილებელ მოგერიებაზე ძველი რომის იურისტების შეხედულებისგან.

ფეოდალური სახელმწიფოების სისხლის სამართალზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია, თუ გადავხედავთ გერმანიის კანონმდებლობას. ჩვენამდე მოაღწია გერმანელ ტომთა მრავალმა კანონთა კრებულმა ე.წ. ბარბაროსულმა სამართალმა.

შუასაუკუნეების კანონმდებლობას გააჩნდა აუცილებელი მოგერიების უფლების სხვადასხვაგვარი განმარტება. კანონმდებლობა უშვებდა მკვლელობას, რათა დაცული ყოფილიყო პატივი და ქონება; აწესებდა სასჯელს ჩადენილი მკვლელობისათვის, რათა საკუთარი სიცოცხლე ყოფილიყო დაცული.

თუ მიმოვიხილავთ გერმანიის კანონმდებლობას, მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნება ფეოდალური სახელმწიფოების სისხლის სამართალზე. ჩვენამდე მოაღწია გერმანელ ტომთა მრავალმა კანონთა კრებულმა ე.წ. ბარბაროსულმა სამართალმა.

აუცილებელი მოგერიების ცნებას გერმანული სამართალი არ აიგივებდა თავდაცვის ცნებასთან, განსხვავებით რომელი იურისტებისგან. აუცილებელი მოგერიება გაიგივებული იყო ადამიანისათვის ჭრილობების მიყენებასთან ან მოკვლასთან, რომელიც არ ისჯებოდა. კაროლინას მიღებამდე აუცილებელი მოგერიებისადმი ასეთი მიდგომა იყო გერმანიაში.

ქალს, რომელიც მოკლავდა თავმდამსხმელს პატივის დასაცავად და კაცს, რომელიც იცავდა ცოლ-შვილს; აგრეთვე მათ, რომლებიც კლავდნენ, რათა დაეცვათ სხვა პირთა სხეული, სიცოცხლე და ქონება კაროლინა არ აღიარებდა მათ მკვლელობაში დამნაშავედ. ეს იგი, კაროლინა იძლეოდა მოგერიების უფლებას.²

განხილული თეორიები, აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებას, ერთი შეხედვით, სხვადასხვაგვარად ასაბუთებენ, მაგრამ არც ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სწორედ ამ თეორიების გაერთიანებას ცდილობდა ნ.ტაგანცევი, რომლის შეხედულებაც წარმოადგენს ყველა ზემოაღნიშნული თეორიის სინთეზს.

XVIII-XIX საუკუნეებში შეიქმნა სისხლის სამართლის კოდექსები, რომლებიც ხასიათდება ფორმალური დემოკრატიის პრინციპების სისხლის სამართლის სფეროში საკანონმდებლო გაფორმებით. ამ კოდექსების მიზანი იყო მმართველი ფენის წყობის დასაცავად, უნდა ელიარებიანთ ადამიანის უფლებების დაცვის გარანტია.

მოგერიების უფლება გაფართოვდა მას შემდეგ, რაც კანონიერად იქნა აღიარებული თავდაცვა არა მხოლოდ პიროვნების სიცოცხლის ხელყოფის წინააღმდეგ, არამედ პატივისა და საკუთრების ხელყოფისაგან დასაცავადაც.

აუცილებელი მოგერება XIX საუკუნის ბოლოს სისხლის სამართლის კოდექსების კერძო ნაწილებიდან გადმოვიდა ზოგად ნაწილში. ფელდშტეინი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ ზოგად ნაწილში აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტი პირველად გადმოიტანა 1813 წლის ბავარიის სისხლის სამართლის კოდექსმა.

აუცილებელი მოგერება, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, რომლის დროსაც არ ისჯება მკვლელობა, სხეულის დაზიანება, წარმოიშვა უძველეს დროს, მონათმფლობელური სახელმწიფოების პირველი საკანონმდებლო ძეგლების გამოჩენისთანავე.³

² ი. ხერხელიძე, აუცილებელი მოგერება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 16.

³ ი. ხერხელიძე, დასახელებული ნაშრომი. გვ. 16.

ისტორიულად ჩამოყალიბებულია, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა განეკუთვნება იმ მოქმედებათა რიცხვს, რომელიც საშიშია საზოგადოებისთვის. აუცილებელი მოგერიების ცნება ყალიბდებოდა, თეორიასა და კანონმდებლობაში საკუთარი სიცოცხლის და პირადი ხელშეუხებლობის დაცვისთვის. მოგვიანებით, აუცილებელი მოგერიების ცნება გავრცელდა საკუთრების დაცვაზე.

ძველი რომის სისხლის სამართალი იცავდა მონათა სისტემას და კერძო საკუთრებას. მანუს კანონების მიხედვით ისინი ვალდებულები იყვნენ დაეცვათ ისინი. აუცილებელი მოგერიებით სიცოცხლის მოსპობა დაიშვებოდა, როგორც თავდაცვის, ისე ბრაჰმანების დაცვის მიზნით.

ფეოდალურ სისხლის სამართალში აუცილებელი მოგერიება იყო გაბატონებული კლასის წარმომადგენლების პრივილეგიის სახე. ინგლისის კანონმდებლობით, აუცილებელი მოგერიება დაუშვებელი იყო ბატონის წინააღმდეგ. ჰენრიხ I-ის სამხედრო არტიკულები გამორიცხავდა მოგერიების უფლებას უფროსის წინააღმდეგ და აწესებდა ურჩის სიკვდილით დასჯასაც, რომელიც გამოიყენებდა იარაღს თავისი უფროსის წინააღმდეგ. ესე იგი, აუცილებელი მოგერიების უფლება იყო პრივილეგია, რომელიც არ ვრცელდებოდა გლეხებზე. ვახტანგ VI-ის სამართლიდან ირკვევა, რომ თუ მკვლელობა ჩადენილი იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ის გამორიცხავდა პასუხისმგებლობას. მაგრამ იგი ძალადაკარგული იყო, თუ მოძალადე იყო ბატონი, ხოლო მომგერიებელი - ყმა.

1.2 აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტი საბჭოთა და პოსტ- საბჭოთა საქართველოში.

აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა საბჭოთა კავშირის არსებობისას მეცნიერთა მხრიდან. აუცილებელი მოგერიების უფლების პრობლემებზე მუშაობდნენ სისხლის სამართლის გამოჩენილი სპეციალისტები: ა. პიოტკოვსკი, ნ. პაშე-ოზერსკი, ი. ტიშკევიჩი, ი. ლიეცკო, მ. იაკუბოვიჩი, თ. შავგულიძე, ე. კორჩენკო, ვ. ტკაჩენკო და სხვები. ზემოხსენებულ ავტორთა ნაშრომები გამოცემულია 1950-1970 წლებში. ავტორთა ნაშრომებში კარგად ჩანს, რომ იგნორირებული იყო მომგერიებლის ინტერესები. მისი ქცევა სწორად არ ფასდებოდა. აუცილებელი მოგერიება მიეკუთვნებოდა შეფასებით კატეგორიას. მისი სამართლებრივი მნიშვნელობა სასამართლოს შეხედულებაზე იყო დამოკიდებული. ავტორები საუბრობდნენ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების ოთხ სახეზე და ინდივიდუალურად აყალიბებდნენ იმ დანაშაულთა სახეებს, რომელთა ჩადენის დროსაც აუცილებელი მოგერიების გამოყენება დაიშვებოდა.⁴

1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, აუცილებელი მოგერიება განიხილებოდა, როგორც საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოება. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების დასადასტურებლად სავალდებულო იყო წინაპირობების დაცვა: ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროება; საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის იმწუთიერება; ხელყოფის ნამდვილობა. პიროვნებას შესაძლებლობა ჰქონდა დაეცვა, როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის, სახელმწიფოს და საზოგადოების უფლება ხელყოფისგან. ზემოხსენებული ითვალისწინებდა ზიანის მიყენებას თავდამსხმელისთვის, იმ პირობით, რომ არ გაცდებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

⁴ ი. ხერხელიძე., აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 17.

განსხვავებით 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისგან საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის სისხლის სამართლის კოდექსმა ახლებურად ააგო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, როგორც მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებების სახით.

1.3 აუცილებელი მოგერიების წარმოშობა ადრეულ ანგლო-ამერიკულ სამართალში.

Se defendento და უკიდურესი აუცილებლობა იყო ბრალის გამომრიცხველი გარემოებები და თავდაცვის ადრეული ფორმები.

1532 წელს ინგლისის პარლამენტმა აღიარა, რომ თავდაცვა გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება, იყოს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება. ესე იგი, პირი, რომელმაც მოკლა, სრულად მართლდებოდა, მის მიმართ აღარ გამოიყენებოდა ქონების ჩამორთმევა, როგორც თავდაცვის დროს ადამიანის სიცოცხლის წართმევისთვის დაწესებული სასჯელი.⁵

1967 წლის კანონის მიღების შემდეგ პირი, რომელიც მოქმედებს რეალური ან მოსალოდნელი თავდასხმის დროს საკუთარი თავის ან სხვა პირის, ან სხვისი საკუთრების დასაცავად, მშვიდობის დარღვევის თავიდან აცილების, შეწყვეტისთვის ან უკანონო ტყვეობაში მყოფთა დახმარებისთვის, უფლება აქვს, იხელმძღვანელოს 1967 წლის კანონის ზემოაღნიშნულ მუხლის მიხედვით, რათა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აიცილოს თავიდან.⁶

⁵ ი. ხერხელიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 18.

⁶ იქვე გვ. 19.

თავი II.

აუცილებელი მოგერიების ცნება და არსი.

2.1 აუცილებელი მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება

აუცილებელი მოგერიების ცნება ჩამოყალიბებას იწყებს მონათმფლობელურ ეპოქაში სისხლის სამართლის წარმოშობისთანავე. მონათმფლობელური სახელმწიფოების სისხლის სამართალმა თავისი გამოხატულება ჰპოვა უძველესი ხალხის კანონებში.⁷

პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების სისტემის მიხედვით 1960 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსხვავდება 1999 წლის კოდექსისგან. ზემოაღნიშნული კოდექსის მე-8 თავი ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს, ხოლო მე-9 თავი ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების ცნების განმსაზღვრებას. აუცილებელი მოგერიება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებაა. აუცილებელი მოგერიება არის თავდამსხმელის დაზიანება სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვის.

აუცილებელი მოგერიების დროს ყოველთვის სახეზეა სამართლებრივად დაცული სიკეთის ან ინტერესის ხელყოფა, რომელიც ადამიანის აქტიური ან პასიური ქცევით - მოქმედებით ან უმოქმედობითა არის გამოწვეული. ასევე შესაძლებელია აუცილებელი მოგერიება „გაუფრთხილებელი“ ხელყოფის წინააღმდეგ. უვარგისი მცდელობა არ წარმოადგენს ხელყოფას და არ წარმოშობს აუცილებელი

⁷ ი. ხერხელიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 11.

მოგერიების უფლებას, რადგან სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფა ობიექტურად არ ემუქრება.⁸

თავდასხმა ორგვარია: მართლზომიერი და მართლსაწინააღმდეგო. არ შეიძლება თავდაცვა მართლზომიერი თავდასხმის დროს. მაგალითად, პოლიციელი კანონიერად აკავებს ეჭვმიტანილს. ასეთ შემთხვევაში ეჭვმიტანილს თავდაცვის უფლება არ აქვს. როცა თავდასხმა მართლსაწინააღმდეგოა, მაშინ თავდაცვა მართლზომიერია. მაგალითად, მოქალაქეს, რომელსაც ყაჩაღი ესხმის თავს, შეუძლია დააზიანოს და მოიგერიოს ის, მას ამის სრული უფლება აქვს.⁹

მართლწინააღმდეგობა არის ქმედების წინააღმდეგობა სამართალთან, როდესაც სამართალი კრძალავს ამ მოქმედებას ან უმოქმედობას, ესე იგი მოითხოვს მოქმედებას. მაგალითად, დედა უნდა დაეხმაროს განსაცდელში მყოფ შვილს.

აუცილებელი მოგერიება მოქალაქის უფლებაა და არა მოვალეობა. მოქალაქე უფლებას უნდა გამოიყენებს და უნდა არა. თუ მოქალაქე ამ უფლებას არ გამოიყენებს, იგი ამის გამო პასუხს არ აგებს.

ზემოაღნიშნული გარემოება, რომელიც რეალურ დროში გვხვდება განსხვავდება შუასაუკუნეების კანონმდებლობისგან, სადაც ვხვდებით აუცილებელი მოგერიების უფლების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას. ერთი კანონმდებლობა უშვებდა მკვლელობას პატივისა და ქონების დაცვისთვის, მეორე - სასჯელს აწესებდა საკუთარი სიცოცხლის დასაცავად ჩადენილი მკვლელობისათვის.¹⁰

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ძალით აუცილებელი მოგერიება არის თავდამსხმელის დაზიანება „თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად“. აუცილებელი

⁸ ი. ხერხეულიძე., აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 73.

⁹ ცვ გვ. 294.

¹⁰ ი. ხერხეულიძე., დასახელებული ნაშრომი, გვ. 12.

მოგერიება ისეთი შემთხვევაა, როცა ადამიანი თავის სიკეთეს იცავს. რაც შეეხება „სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვას“, ეს აუცილებელი დახმარებაა.

ამ ორ მოვლენას თავ-თავისი არსებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, როცა ადამიანი თავდამსხმელისგან იცავს თავის სამართლებრივ სიკეთეს, ხელყოფილს შეუძლია გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება და დააზიანოს ხელმყოფი, მაგრამ მან შეიძლება ეს უფლება არ გამოიყენოს და ამისთვის ის პასუხს არ აგებს, რადგან ხელმყოფის დაზიანება მისი უფლებაა და არა მოვალეობა.¹¹

აუცილებელი დახმარებისას, როდესაც „სხვისი სამართლებრივი სიკეთე“ საფრთხეშია, სხვა პირს შეიძლება წარმოეშვას ამ სიკეთის დაცვის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაც. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე მუხლით ისჯება „დაუხმარებლად იმის მიტოვება, ვინც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, თუ მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება“.

პიროვნება შესაძლოა აღმოჩნდეს „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში“ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის შედეგად. ამ მომენტში სხვა პირს აუცილებელი მოგერიების უფლება კი არა, აუცილებელი დახმარების მოვალეობა წარმოეშობა, ვინაიდან მას „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში“ მყოფისთვის დახმარება სპეციალურად ევალება, როგორც კანონით, ისე ოჯახური მდგომარეობით.

ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა სსკ-ის 129-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას იწვევს „სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ

¹¹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები., III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 295.

დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე".

ამ დროს გარეშე პირს არ აქვს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის დახმარების ზოგადი სამართლებრივი მოვალეობა. ის ვალდებულია ხელმყოფის დაზიანების გზით დაეხმაროს მას, ვისი მოკვლაც თავდამსხმელმა განიზრახა, იმ პირობით, თუ მას შეეძლო თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შეუქმნელად.

თუ გვერძე მყოფი აუცილებელი დახმარების მოვალეობას შეასრულებს და სხვისი სამართლებრივ სიკეთეს დაიცავს - თავდამსახმელს დააზიანებს, ის პასუხს არ აგებს ამ ზიანისთვის. აუცილებელი დახმარების მოვალეობა აქვს აგრეთვე პოლიციელს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე. 1979 წლის 17 დეკემბრის მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის პირველი მუხლის განმარტებაში ნათქვამია: „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და ყველა პირს იცავენ უკანონო ქმედებისგან მათი პროფესიისთვის საჭირო პასუხისმგებლობისათვის მაღალი დონით“.¹²

ზემოხსენებული მუხლი ავალდებულებს „მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირს“, ესე იგი პოლიციელს, დაეხმაროს და დაიცვას სხვისი „უკანონო ქმედებისგან“ საფრთხეში მყოფი.

საქართველოს პოლიციის 1993 წლის 27 ივლისის კანონით პოლიციელი ვალდებულია: კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს მოქალაქეს სათანადო დახმარება“. ეს მუხლი მოიცავს იმ შემთხვევასაც, როცა ადამიანი საფრთხეშია სხვისი უკანონო ხელყოფის გამო. შესაბამისად პოლიციელი ვალდებულია დააზიანოს თავდამსხმელი, თუ სხვა საშუალებით არ ხერხდება მოქალაქის იმ სიკეთის გადარჩენა, რომელსაც საფრთხე ემუქრება.

¹² ლ. ჭანტურია, საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბილისი, 1998, 504-ე გვ.

მაგალითად, პოლიციის კანონის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით პოლიციელს უფლება აქვს უკიდურესი ღონისძიებების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი „მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“. აქ „სიტყვა“ უფლება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას ეხება და გულისხმობს იმას, როდის შეიძლება ცეცხლსასროლი იარაღით აუცილებელი დახმარება, რაც პოლიციელის მოვალეობაა და არა უფლება.¹³

აუცილებელი მოგერიება შესაძლოა გამოყენებული იყოს მაშინაც, როდესაც თავდამსხმელი შეცდომით თავს ესხმის ვინმეს. ანუ ადამიანი რეალური საფრთხის წინაშეა.

რაც შეეხება მოჩვენებით მოგერიებას, ის უნდა განისაზღვროს, როგორც შეცდომა. თუ მოჩვენებითი მოგერიების მდგომარეობაში მყოფ პირს არ ეპატიება შეცდომა, მაშინ ის პასუხს აგებს გაუფრთხილებლობისთვის.¹⁴

მაგალითად, „სადამოთი, როცა დაბნელდა, დ-ნის ეზოში ვიღაც შევიდა და სახლის პატრონის ძაღლის დაჭერას ცდილობდა. სახლის პატრონის შეკითხვაზე, ვინ ხარ და რა გინდაო, უცნობი არ პასუხობდა. დ-ნი შეშინდა და სახლიდან დანა გამოიტანა. უცნობს ძაღლი უკვე დაეჭირა. დ-ნმა იფიქრა ყაჩაღი თავს დამესხა, ჯერ ძაღლი დაიჭირა, მერე შინ შემომივარდებო; თავდაცვის მიზნით უცნობს დანა დაარტყა და მძიმედ დააშავა. როგორც საბოლოოდ გაირკვა, უცნობი მთვრალი ყოფილა და ეზოში შემთხვევით, ყოველგვარი ავი ზრახვის გარეშე შეხეტიალებულა. სასამართლომ დ-ნის მოქმედება მოჩვენებით მოგერიებად მიიჩნია და მსჯავრი დასდო სხეულის გაუფრთხილებლობითი დაზიანებისთვის“.¹⁵

¹³ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები., III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 296.

¹⁴ იხ. ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბილისი 2000, 98-ე გვ.

¹⁵ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 1988, 90-ე გვ.

თავდასხმა შესაძლოა იყოს რეალური, მაგრამ თავდამსხმელი სათამაშო იარაღით მოქმედებდეს. მაგალითად, ყაჩაღი თავს ესხმის ვინმეს სათამაშო, უვარგისი იარაღით. ასეთ დროს, თუ მომგერიებელი დააზიანებს თავდამსხმელს, ეს იქნება აუცილებელი მოგერიება, რადგან შეცდომა იარაღის ვარგისიანობაში მისთვის საპატიო შეცდომად უნდა ჩაითვალოს.¹⁶

თავდასხმა შესაძლებელია არა მარტო მოქმედებით, არამედ უმოქმედობითაც. მაგალითად, ოთახში ჩაკეტილ კაცს, სადაც ის მისივე თანხმობით მოხვდა, შეუძლია დააზიანოს მცველი, რომელიც მას გარეთ არ უშვებს და ამ გზით დააღწიოს თავი ტყვეობას.¹⁷

დაუშვებელია აუცილებელი მოგერიება აუცილებელი მოგერიების წინააღმდეგ, რადგან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირი მართლზომიერად მოქმედებს და არ სჩადის უმართლობას.

2.2 აუცილებელი მოგერიება, როგორც უფლება

აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, თუ ხელყოფა ამწუთიერია. მაგალითად, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ისეთი ძალადობის მუქარით.¹⁸ მაგალითად, ყაჩაღმა მიუშვირა მსხვერპლს რევოლვერი და მოსთხოვა ნივთის

¹⁶ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 298.

¹⁷ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 1988, 52-ე გვ.

¹⁸ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი, თბილისი 1999, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 2019.

გადაცემა. თავდასხმა აქ ამწუთიერია და, ბუნებრივია, მაშინვე წარმოშობს მოგერიების უფლებას.¹⁹

ყაჩაღობისგან განსხვავებით, აუცილებელი მოგერიების უფლებას, არ წარმოშობს გამოძალვა, სადაც მუქარა არის, მაგრამ არა ამწუთიერი. გამოძალვის დროს იმ წუთში არ არის მოსალოდნელი მუქარის შესრულება. გამომძალველი დროს აძლევს მსხვერპლს. შესაბამისად, ქონების გადაცემის მოთხოვნა მომთხოვნის დაზიანებას ვერ გაამართლებს.

ხელყოფის ამწუთიერება არ ნიშნავს, რომ თავდამსხმელი უნდა ელოდოს, როდის დაიწყებს მოქმედებას თავდამსხმელი. პეტრე პირველის „სამხედრო არტიკულში“ ნათქვამია: „თავდამცველი პირველ დარტყმას არ უნდა ელოდოს, თორემ შეიძლება ისეთი მოხვდეს, რომ წინააღმდეგობის თავიც აღარ ექნესო“.²⁰

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც რამდენიმე კაცი ღამით შევიდა სახლში, სადაც იყვნენ ცოლი, ქმარი და ქმრის და. მოსულებმა მამაკაცს წინადადება მისცეს გაეტანებინა მათთვის და. როცა მამაკაცს შეატყვევს ყოყმანი, ერთ-ერთმა მოსულთაგანმა ნაბიჯი გადადგა წინ და ჯიბეში ხელი ჩაიყო. დამხვდურმა სწრაფად აიღო სანადირო თოფი და მოკლა წინმდგომი. დანარჩენები გაიქცნენ.

აქ თავდასხმა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, მაგრამ იწყებოდა. წუთით დაყოვნებას შეეძლო მძიმე შედეგი მოჰყოლოდა. შესაბამისად, ოჯახის უფროსის მოქმედება სავსებით დროული მოგერიება იყო.

როცა ხელყოფა წყდება აუცილებელი მოგერიების ვითარება აღარ არსებობს. ხელყოფა წყდება მაშინ, როდესაც თავდამსხმელმა სამართლებრივი სიკეთე დააზიანა და თავის მიზანს მიაღწია. ო. გამყრელიძე აღწერს: „როცა თავდასხმა

¹⁹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 298.

²⁰ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 1988, 74-ე გვ.

ხდება მოკვლის მიზნით, ხელყოფა დასრულებულია მსხვერპლის სიკვდილისთანავე. ასევე დასრულებულია ხელყოფა, როცა თავდამსხმელი ქონებას დააზიანებს, თუ თავდამსხმელის მოკვლა ან მისი სხვაგვარი დაზიანება ჩვეულებრივი დანაშაულია".²¹

თავდასხმა შეწყვეტილია მაშინაც, როცა თავდამსხმელი გაჩერდა და აღარ აგრძელებს თავდასხმას. შეწყვეტა თავდასხმისა შეიძლება იძულებითაც, როცა თავდამსხმელი შეიპყრეს და მოქმედების გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს ან სხვა რაიმე გარემოებით თავდასხმის შეჩერება მოხდა. ასეთ დროს მოგერიების უფლება ისპობა და თავდამსხმელს დაზიანება არ შეიძლება.

თავდასხმა წყდება მაშინაც, როცა იარაღით თავდასხმის დროს მომგერიებელი თავდამსხმელს იარაღს წაართმევს. მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა იარაღის წართმევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავდასხმის დასრულებას. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მომგერიებელი თავდამსხმელისთვის წართმეული იარაღით აზიანებს მას და ეს დაზიანება, ესე იგი მოგერიება არის მართლზომიერი.

მაგალითად, კასპის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებმა რუსეთში ვაშლი გაყიდა. ნავაჭრი თანხით იგი თბილისის აეროპორტში გვიან ღამით ჩამოფრინდა, იქირავა მანქანა და თავის სოფელში გაემგზავრა. გზაზე საუბრის შედეგად მძღოლმა ეტყობა გაიგო, რომ მგზავრს საკმაო ფული მოჰქონდა. ამიტომ მთავარი გზიდან გადაუხვია, მანქანა ხილის ბაღის პირას ჩააყენა, გადმოვიდა და საბარგული გახსნა. შემდეგ მგზავრს დაუძახა გადასულიყო და მიხმარებოდა რაღაცის გასწორებაში. როგორც კი მგზავრი გადავიდან და მძღოლისკენ შებრუნდა, მან მაშინვე ნაგანის სისტემის რევოლვერი დაახალა. მგზავრი დაიჭრა და ინსტიტუტურად ისე სწრაფად გადახტა თავდამსხმელისკენ, რომ მან მეორე გასროლა ვეღარ მოასწრო. გაიმართა ჭიდილი იარაღის საბოლოოდ დაუფლებისთვის. ამ შეტაკების დროს ორივე წაიქცა. თავდამსხმელი ცდილობდა

²¹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები., III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 299.

იარაღის შენარჩუნებას, ხოლო მომგერიებელი ამ იარაღის წართმევას, რადგან მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. საბოლოოდ მომგერიებელმა წაართვა იარაღი თავდამსხმელს და ამ იარაღითვე მოკლა ის. ეს საქმე წინასწარ გამოიძიებაში შეწყდა ისე, რომ სასამართლომდე არ მისულა. აქ აშკარაა, რომ იარაღის წართმევით თავდასხმა არ დასრულებულა, რადგან ძალთა თანაფარდობა თითქმის თანაბარი იყო, მომგერიებელს სისხლის სდიოდა, გარშემო არავინ ჩანდა. ასეთ პირობებში იყო იმის საფრთხე, რომ თავდამსხმელი იარაღს ისევ ისევ წაართმევდა, ამიტომ მომგერიებლის მოქმედება მართლზომიერი იყო.²²

ა. მ-ძეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 17 სექტემბრის განაჩენით მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (1999 წლის კოდექსი) და 107-ე მუხლით (1960 წლის კოდექსი) აუცილებელი მოგერიების გადამეტებისთვის.

მანქანით მსვლელობის დროს დ. რ-ძემ და ა. ყ-შვილმა ა.მ-ძე ჯერ სიტყვიერად, შემდეგ კი ფიზიკურად შეურაცხვეს და მოკვლითაც დაემუქრნენ. მანქანა გაჩერდა. დ. რ-ძემ მოკვლის მუქარით ა. მ-ძეს პისტოლეტი მიუშვირა. ა. მ-ძემ სცადა პისტოლეტის წართმევა. დ. რ-ძემ რამდენჯერმე ისროლა. ერთი ტყვია მოხვდა ა. ყ-შვილს და იქვე გარდაიცვალა. მეორე ტყვიით დაიჭრა ა. მ-ძე. დაჭრილმა ა. მ-ძემ ისარგებლა დ. რ-ძის სიმთვრალით და მოახერხა მისთვის პისტოლეტის წართმევა, ესროლა და მოკლა, რადგანაც ა. მ-ძეს ეგონა, რომ დ. რ-ძეს კიდევ ჰქონდა მეორე იარაღი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 10 დეკემბრის განჩინებაში ამ საქმის გამო ნათქვამია: „დიდი პალატა თვლის, რომ ა. მ-ძის მხრიდან იარაღის წართმევით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შეწყვეტის პირობები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ა. მ-ძეზე თავდასხმა იყო მართლსაწინააღმდეგო, რეალური და იმწუთიერი. ა. მ-ძის მიერ დ. რ-ძისათვის

²² ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები., III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 299.

იარაღის წართმევის შემდეგაც მისი სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე განვლილი არ იყო...".

ა. მ-მემ იცოდა, რომ დ. რ-მე იყო კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი, მას ეძებდა პოლიცია და ამიტომ ა. მ-მეს ვარაუდით თავდამსხმელს შეიძლებოდა მეორე იარაღიც ჰქონოდა. გარდა ამისა, როგორც განჩინებაში ვკითხულობთ, „მანქანაში იმყოფებოდა მესამე პირი - გ. ბ-მე, რომელიც ასევე დ. რ-მეს ახლდა და ა. მ-მემ არ იცოდა შეიარაღებული იყო თუ არა აღნიშნული პიროვნება".²³

აქედან გამომდინარე, დ. რ-მისთვის პისტოლეტის წართმევით თავდასხმა დამთავრებული არ იყო. შესაბამისად, ა. მ-მის მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება.

აუცილებელი მოგერიების უფლება აქვს არა მარტო ასაკოვან და ფსიქიკურად ჯანსაღ ადამიანს, არამედ მცირეწლოვანსაც და ფსიქიკურად დაავადებულსაც. თუ ფსიქიკურად დაავადებული ან მცირეწლოვანი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მიზნით, მათ მიმართ სხვა რაიმე ღონისძიების გამოყენება არ შეიძლება.

აუცილებელი მოგერიება შესაძლოა მოქმედებით. სიტყვა, „მოგერიება“ ყოველთვის გულისხმობს თავდამსხმელის დაზიანებას. ზიანი ქმედების მართლწინააღმდეგობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა და თავდამსხმელის მოკვლა.

მოგერიება შესაძლებელია უმოქმედობითაც. მაგალითად, მოქალაქეს თავს დაესხნენ და დაუწყეს ცემა. პატრონის დასაცავად თავდამსხმელებს ეცა მისი გაწვრთნილი ძაღლი და ერთ-ერთი მათგანი დააზიანა. პატრონმა ზომები არ

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, N26 201-202-ე გვ.

მიიღო ძალის შესაჩერებლად. თავდამცველმა უმოქმედობით დაიცვა თავი. სხვა შემთხვევაში იგი ვალდებული იყო ძალის გაყენებინა.²⁴

ესე იგი, აუცილებელი მოგერიება არის განზრახი მოქმედება. მომგერიებელი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით მოქმედებს, როდესაც აზიანებს თავდამსხმელს. აუცილებელი დახმარების დროს კი ადამიანს გააჩნია სხვისი დახმარების მიზანი.

2.3 აუცილებელი მოგერიება, როგორც თავდამსხმელის დაზიანება

აუცილებელი მოგერიების დროს პირი აზიანებს ხელმყოფს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა განახორციელა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად. თავდაცვის მიზანია მომგერიებლის ან სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის დაცვა. მომგერიებელს უფლება აქვს, დააზიანოს ხელმყოფი იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას სხვაგვარად აიცილოს ხელყოფა.²⁵

აუცილებელი მოგერიებაში თავდამსხმელის დაზიანება იგულისხმება. კანონის თანახმად, აუცილებელი მოგერიების, ეს იგი თავდამსხმელის დაზიანების უფლება ადამიანს მაშინაც აქვს, როცა მას სხვა გზითაც შეუძლია „თავიდან აიცილოს ხელყოფა“. მაგალითად, ო. გამყრელიძის აზრით, „მომგერიებელს აქვს შესაძლებლობა, რომ გაიქცეს და ამით აიცილოს ხელყოფა. მართალია, მას შეუძლია ასე მოიქცეს, ეს მისი უფლებაა, მაგრამ არა ვალდებულება. მომგერიებელს გაქცევა არ ევალება იმიტომ, რომ გაქცევა არ არის თავდამსხმელისგან თავის დაღწევის გარანტია; გაქცეული შეიძლება წაიქცეს ან

²⁴ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 1988., 114-ე გვ.

²⁵ ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 72.

ვერ აჯობოს სირბილში თავდამსხმელს და სხვ. სად აქტიური მოგერიება და სად შეშინებული გაქცეულის წინააღმდეგობა".²⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომგერიებელი არა არის ვალდებული გაიქცეს ან დახმარება თხოვოს ახლობელს, უცნობს ან პოლიციელს. პირს გააჩნია უფლება დააზიანოს თავდამსხმელი მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია „საშველად მოუხმოს სხვას“.

სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილი გულისხმობს ისეთ თავდასხმას, რომლისაგან მოსალოდნელი ზიანი მოძრავი ნივთის ან სხვა სამართლებრივი სიკეთის წართმევასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ხელმყოფელი გარბის და თან მიაქვს ნაქურდალი, ნაძარცვი თუ ნაყაჩაღარი ქონება. აქ უნდა გავიხსენოთ თავდასხმის შეწყვეტის მომენტი, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ. დანაშაულებრივი თავდასხმის დროს დანაშაულის დამთავრება ხელყოფის დამთავრებისას ნიშნავს და ამ მომენტიდან ხელმყოფის დაზიანების უფლებაც აღარ არსებობს, რადგან ხელმყოფის დაზიანება ასეთ დროს სამართლებრივი სიკეთის დაცვას აღარ ემსახურება. მაგალითად, თუ მკვლელმა დაამთავრა დანაშაული, ესე იგი მსხვერპლი უკვე მოკვდა, აუცილებელი მოგერიების უფლებაც ისპობა. ასევე ხდება ქონების დაზიანების, გაუპატიურების და სხვა შემთხვევებშიც.²⁷

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობს ფორმალურად დამთავრებული დანაშაულები: ქურდობა, ძარცვა და სხვ. ძარცვა და ქურდობა დამთავრებულია სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მომენტიდან, მაგრამ ნივთის ქურდის ხელში გადასვლა არ ნიშნავს ხელყოფის საბოლოო დამთავრებას და მოგერიების უფლების მოსპობას. ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან ნივთის დაუფლებამდე, მაგრამ ყაჩაღის მხრიდან ნივთის დაუფლება

²⁶ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 302.

²⁷ ო. გამყრელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 302.

დაზარალებულს მოგერიების უფლებას არ უსპობს. ხელმყოფის დაზიანება მართლზომიერი იქნება, თუ ეს წართმეული ნივთის დაბრუნებას ემსახურება.

შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც თავდამსხმელმა წართმეული სიკეთე სხვას გადასცა, ის კი გაიქცა და ადგილზე მხოლოდ თავდამსხმელი დარჩა. დაზარალებულს თავდამსხმელის დაზიანების უფლება აღარ აქვს, რადგან ეს დაზიანება არ ემსახურება ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის უკან დაბრუნებას. სამაგიეროდ დაზარალებულს უფლება აქვს დააზიანოს ის, ვის ხელშიც სამართლებრივი სიკეთე აღმოჩნდა, თუკი ამით ის თავის სიკეთეს დაიბრუნებს.

ესე იგი, თუ წართმეული სამართლებრივი სიკეთე ჯერ კიდევ არსებობს და მისი დაბრუნება შეიძლება, მომგერიებელს უფლება აქვს წართმეული სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად დააზიანოს თავდამსხმელი.

კანონის ტექსტში გვხვდება აგრეთვე სიტყვები „ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად“. აქ იგულისხმება ადამიანი, რომელიც გაიტაცეს, ესე იგი ჩადენილია უკანონო თავისუფლების აღკვეთა. ასეთ შემთხვევაშიც ადამიანს უფლება აქვს დააზიანოს თავდამსხმელი უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გათავისუფლების მიზნით. ეს იქნება აუცილებელი დახმარება.

ო. გამყრელიძე ამართლებს ხელმყოფის დაზიანებას და მისი თქმით „თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია“.²⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველაფერი დამოკიდებულია თავდასხმისა და თავდაცვის სიხშირეზე. აუცილებელი არ არის, რომ ქონება ყაჩაღური გზით იყოს მოპოვებული. ასეთი დაზიანება შესაძლოა მაშინაც, როდესაც ეს ხდება იმ ქონების დასაბრუნებლად, რომელიც წაღებულია ძარცვის ან ქურდობის მეშვეობით. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ქონების ოდენობაც და მისი

²⁸ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები., III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 303.

მნიშვნელობაც. მაგალითად, ქურდი არ აბრუნებს მოპარულ მანქანას, რომელიც
ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, და ამის გამო თავდამსხმელი მას კლავს.

თავი III.

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები.

3.1 ხელყოფის მართლწინააღმდეგობა და რეალურობა

აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებია: ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაშასადამე, რეალური; ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი; ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი; ხელყოფა უნდა იყოს სუბიექტურად სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.²⁹

ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, რომელიც გულისხმობს, რომ იგი ეწინააღმდეგება ცივილიზებულ სახელმწიფოთა კულტურის ნორმებით დადგენილ მართლწესრიგს. იგი უნდა იყოს ობიექტური (რეალური) და არა მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებული. ხელყოფის მართლწინააღმდეგობა, ბუნებრივია, გულისხმობს მის ობიექტურ (რეალურ) ხასიათს, მაგრამ ამ უკანასკნელზე ხაზგასმით მითითება იმ მიზანს ემსახურება, რომ მოხდეს აუცილებელი მოგერიების მოჩვენებითი მოგერიებისგან გამიჯვნა, როგორც მისგან განსხვავებული ქმედება.³⁰ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 116-ე მუხლი, რომელიც ეძღვნება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებულ ზიანს, მე-2 ნაწილში აუცილებელ მოგერიებას განსაზღვრავს, სწორედ, როგორც თავდაცვას რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად, ე.ი. ერთდროულად კუმულაციურად ცალ-ცალკე ასახელებს თავდასხმის რეალურობასა და მართლწინააღმდეგობას.³¹

²⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2010 წ. გვ. 194.

³⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 355.

³¹ ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 115.

ხელყოფის რეალურობის მაგალითი: ა-მ მოკლა ც., რომელსაც უნდოდა ა-ს მხოლოდ შეშინება, თუმცა მომგერიებლის წარმოდგენით იგი რეალურ თავდასხმას ახორციელებდა (ე.წ. მოჩვენებითი მოგერიება).

ასეთი შემთხვევა არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას, ვინაიდან თავდასხმა არ იყო რეალური, ობიექტური, არამედ მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა. მოჩვენებითი თავდასხმის დროს მომგერიებელი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ მისი ბრალი არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა მიუტევებელია, მაშინ იგი დაისჯება მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის, ხოლო თუ შეცდომას არ უშვებს და იცის, რომ ც. ხუმრობით ან შეშინების მიზნით დაესხა თავს, მაგრამ ასეთ სიტუაციას იყენებს თავის სასარგებლოდ, ა.-ს ქმედებაში იქნება განზრახი მკვლელობის ნიშნები.³²

ყოველი ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა, თუ იგი არღვევს ნებისმიერ სამართლებრივ ნორმას და მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე ნორმით არ არის გაბათილებული. ხელმყოფი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ მას სამართლებრივად არ აქვს ამ ქმედების ჩადენის უფლებამოსილება. რაც შეეხება ხელყოფის მომგერიებლის პოზიციას, ხელმყოფი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ ხელყოფის მომგერიებელს არ აქვს ხელყოფის თმენის ვალდებულება.³³

3.2 ხელყოფის ანუ საფრთხის იმწუთიერობა

ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი, მაშასადამე, უშუალოდ დაწყების პროცესში, უკვე დაწყებული ან ჯერ კიდევ მიმდინარე. ეს ნიშნავს იმას, რომ ე.წ.

³² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2010 წ. გვ. 195.

³³ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 356.

პრევენციული აუცილებელი მოგერიება არ არის ნებადართული, რადგან ხელყოფა არ არის იმწუთიერი. ასევე იმწუთიერი არ არის დამთავრებული ხელყოფა. სადავოა, დამთავრებულია თუ არა ხელყოფა და, შესაბამისად, არსებობს თუ არა აუცილებელი მოგერიების უფლება დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის შესრულების შემდეგ. მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა გრძელდება და აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს მანამ, სანამ, მიუხედავად დანაშაულის იურიდიული დამთავრებისა, სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ჯერ კიდევ შეიძლება გაღრმავდეს. ხელყოფა ასევე წარმოადგენს იმწუთიერს მისი განგრძობადობის დროს, თუ არსებობს დაზიანების გამომწვევი ქმედების განმეორების იმწუთიერი რეალური საშიშროება, ხოლო, თუ საფრთხის მდგომარეობამ უკვე გაიარა, აუცილებელი მოგერიების უფლება ისპობა.³⁴

ზოგადად, იმწუთიერი თავდასხმის საშიშროების ნიშანი ნიშნავს, რომ ძალის გამოყენება მოხდება დაუყოვნებლივ. თავდამცველი ვერ მოიცდის. ეს ნიშანი განასხვავებს. ეს ნიშანი განასხვავებს თავდაცვას ძალის არამართლზომიერი გამოყენებისგან ორი შედარებით დაკავშირებული მდგომარეობის დროს. გამაფრთხილებელი დარტყმა თავდამსხმელზე ითვლება არამართლზომიერ ნაადრევ ძალის გამოყენებად, ხოლო დაგვიანება და თავდამსხმელის მიერ უკვე წარმატებით ჩადენილი ქმედების შემდეგ მოქმედება, თავის მხრივ, ითვლება არამართლზომიერ დაგვიანებულ ძალის გამოყენებად. მართლზომიერი თავდაცვა უნდა მოხდეს თავის დროს. გამაფრთხილებელი დარტყმის შემთხვევაში თავდამცველი ვარაუდობს, რომ მისი მოწინააღმდეგე გეგმავს მასზე თავდასხმას და, ალბათ, ამას განახორციელებს კიდევ, ხოლო ამიტომ გონივრულია პირველმა დაარტყა, ვიდრე უცადო, სანამ სინამდვილეში თავს დაგესხმევიან.³⁵

ხელყოფის იმწუთიერობის მაგალითი: ა. თავს დაესხა ც–ს. ც–მ მოიგერია, ხოლო შემდეგ, როცა საფრთხე უკვე აღარ არსებობდა, შურისძიებით მოკლა ა. ეს

³⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 351-353.

³⁵ ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო–საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 149.

შემთხვევა არ შეფასდება აუცილებელ მოგერიებად, ვინაიდან ც-ს მიერ ა-ს მოკვლა არ მომხდარა იმწუთიერი ხელყოფის აღსაკვეთად. თუ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობამ გადაიარა და მერე მოხდა მკვლელობა, ეს იქნება მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე (სსკ-ის 108-ე მუხლი). ასევე, თუ პირმა წინასწარ მოკლა პირი, რომელიც, მისი წარმოდგენით, მომავალში მოკვლას უპირებდა, მაშინ, როდესაც მას ქონდა სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობა, არ ჩაითვლება იმწუთიერ თავდასხმად. მომავალი რეალური საფრთხის წინასწარ აღკვეთა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოება.³⁶

3.3 ხელყოფის რელევანტურობა და მისგან თავდაცვის ნებადართულობა

ხელყოფის რელევანტურობის პირობა შეიძლება მეტ-ნაკლებად გაიგივდეს მოგერიების ანგლო-საქსურ სამართლის სისტემაში მიღებულ პროპორციულობის, ანუ მოგერიების ინტენსივობის, ნიშანთან. თუმცა საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პროპორციულობისა და მოგერიების ინტენსივობის განსაზღვრა შეიძლება დაკავშირდეს ასევე ქართულ სისხლის სამართალში დამკვიდრებულ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებასთან.³⁷

სოციალურ-ეთიკური მომენტებიდან გამომდინარე აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია ან გამორიცხულია. ე.ი. ის ზოგჯერ საჭიროებს ნორმატიულ შეზღუდვებს. მთლიანობაში შეიძლება გამოიყოს ხუთი სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულად, მაგრამ საბოლოო ჯამში შინაარსობრივად ისე არის ჩამოყალიბებული, როგორც ქვემოთ იქნება

³⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2010 წ. გვ. 195.

³⁷ ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 168-169.

წარმოდგენილი. ასეთი ნორმატიული შეზღუდვის შემთხვევები და პირობები სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ არ არის განსაზღვრული, არამედ წარმოადგენს დოგმატიკისა და სამოსამართლო სამართლის პროდუქტს და მნიშვნელოვანია ქართული სისხლის სამართლისთვისაც. ხელყოფის რელევანტურობის მაგალითი: ა. გადაძვრა ბ–ს ბაღში ვაშლის მოსაპარად. ბ–მ მოკლა ა. ასეთ შემთხვევაში ბ. დაისჯება, ვინაიდან ა–ს მოქმედება (ვაშლის მოპარვა) წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას, მაგრამ არ იყო რელევანტური, ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხელყოფა, რის გამოც, ბ-ს მოქმედება არ ჩაითვლება მართლზომიერად. ამ დროს ხელყოფა უნდა იქნეს მოთმენილი ან უმნიშვნელო ხელყოფაზე სამართლებრივი სიკეთის არსებითი დაზიანების გარეშე რეაგირებული. ხელყოფის რელევანტურობა განისაზღვრება ხელყოფის ობიექტის სამართლებრივი მნიშვნელობით აუცილებელი მოგერიების დროს. ე.ი. რომელი ღირებულების ნივთის ხელყოფა ითვლება უმნიშვნელოდ.³⁸

³⁸ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 364-365.

თავი IV.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება

4.1 აუცილებელი მოგერიების ფარგლები და მათი გადაცილების საკითხი ქართულ სისხლის სამართალში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის ამკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან“.³⁹

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობისათვის აუცილებელია ერთმანეთთან კავშირში მყოფი რამდენიმე გარემოების შეფასება, როგორცაა კონფლიქტის წარმოშობის საფუძველი და მიზეზი, გამოყენებულ საშუალებათა ურთიერთშესაბამისობა, როგორც ხელმოყოფის საშიშროებასთან, ისე ინტენსივობასთან. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე მდგომარეობა ვერ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად.⁴⁰

მაგალითად, თავდამსხმელი ფიზიკურად უფრო ძლიერია და შეუძლია მოახრჩოს მომგერიებელი, ანდა ერთ კაცს რამდენიმე კაცი ესხმის თავს. ასეთ დროს მომგერიებელს უფლება აქვს თავდაცვისა და თავდასხმის საშიშროების ამკარა შეუსაბამობა იარაღის მეშვეობით გაათანაბროს. მოგერიების ფარგლების გადამეტებას არ ექნება ადგილი.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 19 მარტის განაჩენით გ. დ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით. ვ. დ-მ გ.დ. წააქცია, წაქცეულს ზემოდან მოექცა და ცემდა. გ.დ.

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი, თბილისი 1999, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 2019.

⁴⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ზ-570-16, გვ. 4.

ვ.დ-ს ვერ იცილებდა და ამის გამო ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა, რადგან, საქმის მასალებით თუ ვიმსჯელებთ, ვ.დ. მასზე გაცილებით ძლიერი იყო. თანაც, კამათისა და ჩხუბის ინიციატივა ა-ს და ვ.დ.-სგან მოდიოდა, რომლებმაც გ.დ. ძალით ჩაიყვანეს ეზოში და ჩხუბში ჩაითრიეს. ასეთ პირობებში გ.დ-მ „ბაბოჩკა“ დანით დაჭრა თავდამსხმელი, რომელიც შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

თავდასხმისა და თავდაცვის შეუსაბამობას არ ექნება ადგილი მაშინ, როცა მომგერიებელმა თავდამსხმელი უფრო მეტად დააზიანა იმასთან შედარებით, რაც მას თავდამსხმელისაგან მოელოდა.⁴¹

დ. მითაიშვილმა დ. ჭანტურიას ჯერ ჯოხით სცემა, შემდეგ კი დანით მსუბუქად დაჭრა თავში. იმავე დღეს ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. დ. მითაიშვილმა დ. ჭანტურიას ჯერ დედა შეაგინა, მერე უბიდან რკინის მოგრძო საგანი ამოიღო და მოუქნია; „დ. ჭანტურია აღმოჩნდა რეალური საფრთხის წინაშე. იმაში დარწმუნებულმა, რომ დ. მითაიშვილი კვლავ მიაყენებდა სხეულის დაზიანებას, გახსნა და გადაამეტა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, ვინაიდან მისი მოქმედება არ შეესაბამებოდა მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებას“ (განაჩენის სიტყვები მოტანილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 5 ნოემბრის განჩინებიდან).⁴²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატა ეთანხმება ამ კვალიფიკაციას, მაგრამ არც ერთი განაჩენით და არც უზენაესი სასამართლოს განჩინებით ერთი სიტყვითაც არ არის დასაბუთებული, რით გამოიხატა დ. ჭანტურიას მხრიდან მოგერიების გადამეტება და თავდაცვა, რატომ „არ შეესაბამებოდა მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათსა და

⁴¹ საქართველოს სსკ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 103-ე გვ.

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, N12, 1954-1855-ე გვ.

საშიშროებას".⁴³ სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დ. ჭანტურიას მოელოდა „სხეულის დაზიანება“, მან კი თავდამსხმელი მოკლა.

განასხვავებენ მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით და განზრახ მკვლელობას უეცარი ძლიერი სულიერი აღელვებით, რაც გამოწვეულია დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით. მომგერიებელი მართლსაწინააღმდეგო თავდასხმისას უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაშია. ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს და უნდა გადაწყდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით განზრახი მკვლელობის სასარგებლოდ. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს „აფექტის დროს ადგილი აქვს ძლიერ სულიერ აღელვებას, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისას მომგერიებელი იმყოფება ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში".⁴⁴

ო. გამყრელიძის აზრით, ზემოაღნიშნული მოსაზრება სრულიად მიუღებელია. ის აღწერს: „როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში მომგერიებელი იყოს „ჩვეულებრივი სულიერი აღელვების მდგომარეობაში“, როცა მას თავდამსხმელთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამართული და მისი სიცოცხლეს ბეწვზე ჰკიდია. აფექტური მკვლელობის დროს კი მკვლელის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა".⁴⁵

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, განზრახ მკვლელობა ისეთ ვითარებაში, როდესაც სახეზე არაა აუცილებელი მოგერიების გადამეტება და ჩადენილია ჩვეულებრივი მკვლელობა, თუ სასამართლოზე დადგინდება, რომ მკვლელი მოქმედებდა უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ეს

⁴³ იხ. Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 2002. ТОМ 1, 2-е издание, Под редакцией, А.В. БРИЛЛИАНТОВА., стр. 77.

⁴⁴ ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბილისი 2000, 101-ე გვ.

⁴⁵ ი. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები., III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ. 303.

უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლით. მაგალითად, მომგერიებელმა თავდასხმა მოიგერია და თავდამსხმელზე შურისძიებით შეპყრობილმა, უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში მოკლა ის.

4.2 აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს ობიექტურად მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე განხორციელებულ თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, თუმცა სუბიექტურად მომგერიებლის წარმოდგენაში თავდაცვის ასეთი აშკარა შეუსაბამობა არ არსებობს.⁴⁶

მომგერიებელმა თავდამსხმელის დაზიანების დროს არ უნდა გადაამეტოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. ესე, იგი თავდამსხმელის ისეთი დაზიანება, რაც აუცილებელია სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ესე იგი, თავდასხმისა და თავდაცვის თანაფარდობა არ უნდა იყოს დარღვეული. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არის თავდაცვის აშკარა შეუსაბამობა თავდასხმის საშიშროებასთან და ხასიათთან.

ხაზგასასმელია სიტყვა „აშკარა“, რადგან არ კმარა მარტო თავდაცვის შეუსაბამობა თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. ეს შეუსაბამობა უნდა იყოს აშკარა, ე.ი. მკვეთრად გამოკვეთილი. „აშკარა შეუსაბამობა“ თავდაცვასა და თავდასხმას შორის ყოველთვის არ ნიშნავს უიარაღო თავდამსხმელის იარაღით მოგერიებას. ასეთ დროს შესაფასებელია შექმნილი ვითარება და იმის მიხედვითაა გადასაწყვეტი, აქვს თუ არა ადგილი მოგერიების გადაცილებას.⁴⁷

⁴⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2010 წ. გვ. 196.

⁴⁷ ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 203.

აუცილებელი მოგერიების ფარგლები გადამეტებულად არ ჩაითვლება, თუნდაც, ვინმე უიარაღო თავდამსხმელს ფარგლების გადაუმეტებლად იგერიებდეს იარაღით, რომლის ტარების უფლება არ ჰქონდა. თავისთავად, იარაღის გამოყენება, რომელსაც მოქალაქე უნებართვოდ ატარებდა, არ შეიძლება იმის საფუძველი გახდეს, რომ მოგერიება გადამეტებულად ვცნოთ, მაგრამ მოგერიების ვითარება არ ამართლებს იარაღის უკანონოდ ტარებას.⁴⁸

4.3 მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით

თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენით, გ.გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან ჩაიდინა: - განზრახ მკვლელობის მცდელობა; განზრახ მკვლელობა; - ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, კერძოდ: 2015 წლის 18 აგვისტოს, ქ.ა.-ში, ე.წ. „უ.-ს“ უბანში ურთიერთშელაპარაკება მოუვიდათ მთვრალ მდგომარეობაში მყოფ გ. ხ.-ს და გ. გ.-ს, რაც გადაიზარდა ჩხუბში. ჩხუბის დროს გ. გ. გ. ხ.-ის მიმართ განეწყო შურისძიების გრძნობით და განიზრახა მისი მოკვლა. გ. გ.-მ თანნაქონი დანა გულმკერდის არეში დაარტყა გ. ხ.-ს და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. აღნიშნულ ჩხუბში ასევე ჩაერთო იქვე მყოფი პ. მ. და შეეცადა სიტუაციის განეიტრალებას. გ. გ.-მ ხელთარსებული დანა კონფლიქტში ჩართულ პ. მ.-ს განზრახ მოკვლის მიზნით დაარტყა გულმკერდის წინა მარცხენა ზედაპირზე და მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. მიღებული დაზიანებების შედეგად პ. მ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო გ. ხ. გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში, რომელიც სამედიცინო ჩარევის შედეგად გადარჩა.⁴⁹

ი. ხერხეულიძე., აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 205.
⁴⁹ თბილისის სააკუელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ზ-570-16, გვ. 3.

პალატას მიაჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩეს განაჩენით დანიშნული სასჯელი შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, შემამსუბუქებელი გარემოების, ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, პირადი და ეკონომიური პირობების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, სასჯელის სახედ და ზომად დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლს და დაცვის მხარის აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ ამოღებული ნივთი არ არის სიცოცხლისათვის საშიფათო საგანი და მკაცრია დანიშნული სასჯელი, ვერ იქნება გაზიარებული. ასაფეთქებელი მოწყობილობა, გამოყენების შემთხვევაში, ასევე წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლის მხრიდან გათვალისწინებული გარემოების შესაბამისად, გ.გ.-ს მიმართ, როგორც თითოეული ეპიზოდისათვის, ისე დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი არის სამართლიანი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენი გ. გ.-ს მიმართ არის კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელი;⁵⁰

⁵⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ზ-570-16, გვ. 13.

თავი V.

აუცილებელი მოგერიების გამოყენების სოციალური ეთიკის შეზღუდვა

5.1 აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვები

აუცილებელი მოგერიების უფლების შემზღუდველ ფარგლებს უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპი ადგენს. აუცილებელი მოგერიების „რეკომენდებულობა“ და „აუცილებლობა“ ზოგჯერ ერთსა და იმავე კონტექსტშია ერთმანეთთან, მაგრამ ისინი არასოდეს სცდებიან საზღვრებს. ნორმატიულ და სოციალურ-ეთიკურ შეფასებებზეა დამოკიდებული რეკომენდებულია თუ არა განხორციელებული ქმედება აუცილებელი მდგომარეობის ძალით, ხოლო ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველ გარემოებებზე, ხელყოფის სიძლიერესა და ფორმაზეა დამოკიდებული თავდაცვის აუცილებლობის დადგენა. აუცილებელი მოგერიებისა და აუცილებელი დახმარების მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების რეკომენდებულობა არ გამოირიცხება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საფრთხისგან თავის არიდების შესაძლებლობა არსებობს. თუ უეცარი დახმარების მიღების შესაძლებლობა არსებობს, პირის მიერ მოსალოდნელია აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელებაზე უარის თქმა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის დასახმარებლად მიმართვა. აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვები, მაშინ გამოიყენება, როდესაც განსაკუთრებული მიზეზებიდან გამომდინარე განსაცდელში ჩავარდნილ პიროვნებას მოეთხოვება მკაცრი საბრძოლო მოგერიებისგან განსხვავებული ქცევა.⁵¹ აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკურ შეზღუდვები გამოიყენება მჭიდრო ოჯახური ურთიერთობების მქონე პიროვნებების ქცევების

⁵¹ ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, „დანაშაული და მისი აგებულება“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010. გვ. 187.

შესაფასებლად. ისეთი ქმედებები, რომლებიც სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენენ არ ამართლებენ პირველივე შესაძლებლობისთანავე ისეთი თავდაცვის საშუალების მომარჯვებას, რომელსაც შესაძლოა თავდამსხმელის სიკვდილი მოჰყვეს. თავდაცვის უფლებასა და ოჯახის წევრის დაცვის გარანტიად გამოსვლის მოვალეობას შორის არსებული დამოკიდებულებიდან გამომდინარე თუ სიტუაცია ამის შესაძლებლობას ქმნის, წარმოიშობა თავდამსხმელისთვის დათმობის ვალდებულება. რეკომენდებული თავდაცვის ფარგლებში მომგერიებელი საჭიროების შემთხვევაში ვალდებულია არ გამოიყენოს მომაკვდინებელი შედეგის მქონე თავდაცვითი საშუალება და მიმართოს ნაკლებად საშიშ ხერხს და შეურიგდეს საკუთარი თავის შედარებით მსუბუქი დაზიანების რისკსაც.⁵²

5.2 აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვების შემთხვევების კლასიფიკაცია

თანამედროვე სისხლის სამართალში ჩამოყალიბდა აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვის შემდეგი შემთხვევები⁵³:

აუცილებელი მოგერიების უფლება მაქსიმალურად იზღუდება ან გამოირიცხება უმნ იშველო ხელყოფისას ან თავდაცვისა და თავდასხმის ხასიათისა და საშიშროების აშკარა ურთიერთმეუსაბამობისას. ამ დროს ხელყოფა უნდა იქნეს მოთმენილი ან ხელყოფის დროს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშე რეაგირებული.⁵⁴ მაგალითად, ა. გადაძვრა ბ-ს ბაღში ვაშლის მოპარვის მიზნით. ამ დროს, თუ ბ-მ მოკლა ა. ან მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება, ბ. დაისჯება,

⁵² ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, „დანაშაული და მისი აგებულება“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010. გვ. 189-190.

⁵³ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 365.

⁵⁴ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2010 წ. გვ. 201.

ვინაიდან ა-ს მოქმედება (ვაშლის მოპარვა) წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას, მაგრამ არ არის სისხლისსამართლებრივად რელევანტური, ანუ სოციალურად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხელყოფა, რის გამოც, ბ-ს მოქმედება არ ჩაითვლება მართლზომიერად.⁵⁵

აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია არაბრალუნარიანი და შეურაცხადი პირის მიერ ხელყოფისას. პირი ასეთ თავდასხმას უნდა განერიდოს და ხელმყოფის მიმართ უნდა გამოიყენოს თავდაცვითი და არა აგრესიული მოქმედებები. მაგალითად, ბავშვის, ფსიქიკურად ავადმყოფის ან მთვრალი ადამიანის მოქმედება, რომელიც არის შეურაცხადი ან შეზღუდულად შერაცხადი.⁵⁶

აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია, როდესაც ხელყოფა განხორციელებულია ოჯახურ და ახლობლურ გარემოში და ადგილი აქვს მსუბუქ დაზიანებებს. პირი უნდა მოერიდოს და მიმართოს უფრო თავდაცვით საშუალებებს.⁵⁷

აუცილებელი მოგერიების უფლებას გამორიცხავს და ზღუდავს სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხი და მართლსაწინააღმდეგო პროვოკაციით გამოწვეული თავდასხმის მდგომარეობა. აუცილებელი მოგერიების უფლებას არ იძლევა აუცილებელი მოგერიების გამიზნული და შეგნებული პროვოკაცია. ასეთი პროვოკაცია საჭიროა გამოიხატოს სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხ ქმედებაში და იყოს მართლსაწინააღმდეგო. ე.ი. თუ ზემოაღნიშნული პროვოკაციული მოქმედება არ არის სოციალურ-ეთიკურად მართლსაწინააღმდეგო და გასაკიცხი, მაშინ არ არსებობს უფლების შეზღუდვის საფუძველი აუცილებელი მოგერიებისას. აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს შეზღუდული სახით აუცილებელი მოგერიების არაგანზრახი და სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხი პროვოკაციის დროს. მაგალითად, აუცილებელი მოგერიების საწყის ეტაპზე პირი

⁵⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 365.

⁵⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2010 წ, გვ. 201-202.

⁵⁷ მ. ტურავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 202.

ვალდებულია თავი აარიდოს ხელმყოფს გაქცევით ან საშველად უხმოს სხვა პირებს. შემდეგ ეტაპზე პირმა მოგერიება სასურველია მხოლოდ თავდაცვითი საშუალებებით განახორციელოს და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს მოგერიება ხელმყოფის სამართლებრივი სიკეთის დაზიანებით.

აუცილებელ დახმარებას, რომელსაც აქვს წამების ან წამების მუქარის ფორმა, არ არის მართლზომიერი სოციალურ-ეთიკური მომენტებიდან გამომდინარე. პოლიციის მხრიდან ნებადართულია ტერორისტების მიმართ იძულება ან იძულების მუქარა, რათა გადარჩეს მძევლად ხელში ჩაგდებულ უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე და მოპოვებულ იქნეს აუცილებელი ინფორმაცია. ე.ი. საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან განხორციელებული წამება და წამების მუქარა აკრძალულია საერთაშორისო სამართლით, ასევე სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციით, პოლიციის შესახებ საჯარო-სამართლებრივი და სისხლის სამართლის კანონმდებლობით.⁵⁸

5.4 საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების შეზღუდვა

წმინდა სისხლის სამართლებრივი თეორიის მიხედვით, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს – პოლიციელს აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება. იგი არ შეიძლება ჩვეულებრივ მოქალაქეზე მეტად იყოს შეზღუდული თავმდამსხმელის მოგერიების დროს.

წმინდა საჯარო-სამართლებრივი თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებთან შედარებით ყველა საჯარო-სამართლებრივ იძულებით ღონისძიებას აქვს მკაცრად განსაზღვრული

⁵⁸ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 367-368.

პრიორიტეტი. მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროს საჯარო სამსახურში მყოფ პირს არ შეუძლია იმოქმედოს აუცილებელი მოგერიებით. ზემოაღნიშნული არ შეუძლია კერძო ფიზიკურ პირსაც.

პრობლემის გადაწყვეტის დიფერენციაციის თეორიის მიხედვით, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების ზოგადი უფლებით. ე.ი. მოქმედებს, როგორც ფიზიკური პირი. არ შეიძლება ვინმეს წაერთვას თავდაცვის უფლება. ანალოგიური წესი მოქმედებს აუცილებელი დახმარების დროსაც. პროპორციულობის პრინციპით გათვალისწინებული შეზღუდვები არ მოქმედებს ასეთ ურთიერთობებში. საპოლიციო სამართალი და სისხლის სამართალი განსხვავდებიან თავიანთი სამართლებრივი სფეროების, უფლებებისა და მოვალეობების მიხედვით.⁵⁹

თავდაცვის თეორიის მიხედვით, თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი. მაგალითად, გამონაკლისია, როდესაც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი საკუთარი სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვის აუცილებელი მოგერიების უფლებას მართლზომიერად იყენებს. პოლიციის კანონმდებლობის მიხედვით, უნდა განხორციელდეს ყველა სპეციფიკური პოლიციურ-სამართლებრივი ამოცანები. აქედან გამომდინარე, თვითდაცვისგან განსხვავებით, აუცილებელი დახმარება უნდა განხორციელდეს სწორედ პოლიციის შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში.

თუ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა ხორციელდება პოლიციელის ან საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი სხვა პირის მიმართ, საჯარო-სამართლებრივმა კანონმდებლობამ არ შეიძლება წაართვას მას თვითდაცვის უფლება. ე.ი. სხვადასხვანაირად განიხილება აუცილებელი მოგერიების,

⁵⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011. გვ. 380–382.

აუცილებელი თვითდაცვისა და აუცილებელი დახმარების შემთხვევები. პოლიციური მოქმედება უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, რადგან ის ყოველთვის მიეკუთვნება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებს.⁶⁰

მაგალითად, ინგლისის სისხლის სამართლის კანონის პროექტის 44-ე მუხლი (ძალის გამოყენება საჯარო და კერძო აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში) არც ამართლებს და არც პატიობს ისეთ ქმედებებს, რომლებიც ძალის გამოყენებას არ მოიცავენ (გარდა იმ მოსამზადებელი ქმედებებისა, რომლებიც მიმართულია ძალის გამოსაყენებლად). მაგრამ კანონი სასამართლოებს უტოვებს ფართო შესაძლებლობას, საერთო სამართალში განავითარონ უფრო ფართო ნორმა. გარკვეული არ არის ის, დღეს მოქმედი სამართალი რა ფარგლებში უშვებს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ამ გარემოებების მოქმედებას ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც ძალის გამოყენებას არ გულისხმობენ.⁶¹

⁶⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011. გვ. 383.

⁶¹ Smith John and Hogan Brian, Eight Edition, Butterworths, London, Edinburgh, Dublin, 1996, გვ. 266.

თავი VI

აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია და მისი სახეები

6.1 აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის სახეების კლასიფიკაცია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების პროვოკაციას, მაგრამ ის არის დაუწერელი ნორმა და შესაძლოა გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვის ან გამორიცხვის საფუძველი. აუცილებელია არსებობდეს ურთიერთკავშირი პროვოკაციულ მოქმედებასა და პროვოცირებულის თავდასხმას შორის. ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ერთმანეთისგან განსხვავდება პროვოკაციის სახეები, რომლებიც ან გამიზნული და მართლსაწინააღმდეგოდ ჩადენილია ან სოციალურ-ეთიკურად დასაძრახია. გამიზნული აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის მდგომარეობის დროს პირი თავისი პროვოკაციული მოქმედების ჩადენის დროს შეიძლება იყოს დარწმუნებული ან შეგნებულად უშვებდეს მასზე პროვოცირებულის შესაძლოს თავდასხმას და იყენებდეს ზემოაღნიშნულ სიტუაციას თავდამსხმელისთვის ანგარიშის გასასწორებლად. მაგალითად, ჩიბურდანიძე მივიდა თანაუბნელის საცხოვერებელ კორპუსთან, დაურეკა მობილურ ტელეფონზე, მიაყენა სიტყვიერი შეურაწყოვა და შეაგინა იმ განზრახვით, რომ ამით გაელიზიანებინა და შეურაცხყოფისა და გინების საპასუხოდ მიეღო მისგან თავდასხმა. მას უნდოდა ესარგებლა ამ სიტუაციით და გაბრაზებული თანაუბნელი მოეკლა. თვითონ კი წინასწარ მოემზადა ამ სიტუაციისთვის იმით, რომ ცეცხლსასროლი იარაღი ჩაიდო ჯიბეში. ისარგებლა რა მის მიერ მოწყობილი ამ ვითარებით, პროვოცირებული თავდამსხმელი მასზე განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლა.⁶²

⁶² მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 369-371.

სოციალურ-ეთიკურად დასაძრახი მოქმედებით გამოწვეული აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია მიუხედავად იმისა, რომ ეწინააღმდეგება სოციალური ეთიკის ნორმებს, შესაძლოა არ იყოს აკრძალული სამართლებრივად. აუცილებელი მოგერიების შეზღუდვას არ შეიძლება იწვევდეს სოციალურად მიღებული და სამართლებრივად ნებადართული ქმედება, თუნდაც მას გააჩნდეს პირის თავდასხმის პროვოცირების სახე. აუცილებელი მოგერიების უფლება არ გამოირიცხება პროვოკაციული მოქმედების დროს. მაგალითად, ვინც გვიან ღამით ლისი ტბის ტერიტორიაზე მიდი სასეირნოდ მეგობარ გოგონასთან ერთად, თუმცა იცის, რომ შესაძლებელია, ამ დროს მათზე განხორციელდეს თავდასხმა, შეუძლია, ჩვეულებრივად გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება, თუ მათზე რეალურად განხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია, თუ პირმა თუნდაც წინდახედულობის ნორმის მართლსაწინააღმდეგოდ დარღვევით გამოიწვიოს მის მიმართ განხორციელებული თავდასხმა.⁶³ პირს არ უნდა შეეზღუდოს აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენება აუცილებელი მოგერიების პროვოკაციისას და არაგამიზნული პროვოკაციისას. გამიზნული პროვოკაციისას არ უნდა არსებობდეს ხელყოფის თავის თავზე მიღების აბსოლუტური ვალდებულება, როდესაც მართლსაწინააღმდეგო დაზიანებაა მოსალოდნელი.⁶⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავდამსხმელის ხელყოფა წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგოს, ხოლო მოგერიება ხორციელდება თავდაცვის მიზნით პროვოკაციის მიუხედავად. პირს მოგერიების უფლება არ უნდა წაერთვას, როდესაც აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებების პირობები სახეზეა. სამართალი ვერ „იზეიმებს“, თუ პირს ასეთი უფლება მოესპობა. თუ პირს არ ექნება მოგერიების უფლება აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის დროს, მაშინ საინტერესოა, თუ როგორ უნდა აიხსნას მომგერიებლის პასუხისმგებლობა,

⁶³ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 371-373.

⁶⁴ მ. ტურავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 376.

როდესაც მისი მოქმედება აუცილებელი მოგერიების ყველა პირობას აკმაყოფილებს.

6.2 აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის თეორიები

არსებობს აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის თეორიათა ორი ჯგუფი, რომლებიც პროვოკაციის დროს ზღუდავენ, გამორიცხავენ ან ხელშეუხებელს ტოვებენ აუცილებელი მოგერიების უფლებას. არსებობს აუცილებელი მოგერიების უფლების გამომრიცხველი თეორიები: უფლების ბოროტად გამოყენების, თანხმობისა და ე.წ. *action illicita in causa*- თეორია. უფლების ბოროტად გამოყენების თეორია გულისხმობს აუცილებელი მოგერიების გამორიცხვას, როდესაც გამიზნულად ხდება თავდასხმის პროვოცირება, რათა სხვისთვის დაზიანება მიყენებულ იქნეს აუცილებელი მოგერიების უფლების სარგებლობით. თანხმობის თეორია გულისხმობს პროვოკატორის მიერ ნებაყოფლობით უარს თავისი სამართლებრივი სიკეთის დაცვაზე თავდამსხმელის პროვოცირებისას. *action illicita in causa*-ს თეორია გულისხმობს, რომ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის წინააღმდეგ ჩადენილი მოგერიება ითვლება ნებადართულ მოქმედებად, მაგრამ აკრძალულია პროვოცირებისას. აუცილებელი მოგერიების უფლების ნებადამრთავი და შემზღუდავი თეორიები: სამართლის დაცვისა და თავდაცვის თეორია. სამართლის დაცვის თეორია გულისხმობს, რომ გამიზნული პროვოკაციისას აუცილებელი მოგერიების უფლება არაა შეზღუდული, რადგან პროვოცირებულის მიერ ხდება თავდასხმა პროვოკატორის მიმართ. ამ დროს პროვოკატორი გვევლინება სამართლის დამცველად და გააჩნია უფლება. თავდაცვის თეორია გულისხმობს, რომ თუ

პროვოკატორს პროვოკაციის შემდეგ არ აქვს თავდასხმის აცილებისა და თავდაცვის შესაძლებლობა თავდაცვითი მოქმედება გამართლებულია.⁶⁵

6.3 პროვოკაციის პრობლემა აუცილებელი მოგერიების დროს

რთულად დასადგენია, როგორც აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების, ისე აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის საკითხი. მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ მკაფიოდ განისაზღვროს აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის საკითხი თავდამსხმელის მომგერიებლად გარდაქმნის დროს და მხოლოდ ბოლოს დაკვალიფიცირდეს ქმედება დანაშაულად.

სასამართლოს არა აქვს უფლება შემოიფარგლოს მხოლოდ საქმის მასალების გადმოცემით. მან სწორედ რომ ამ მასალებზე დაყრდნობით დამაჯერებლად უნდა დააფიქსიროს თუ რამ განაპირობა დამნაშავისათვის კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენება.⁶⁶

საქმეში „Browne”,⁶⁷ მოსამართლე ლორიმ აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით მიუთითა: „მოქმედების საჭიროება გამოწვეული არ უნდა იყოს მომგერიებლის ქცევით, რომელმაც სავარაუდოდ წარმოშვა, ან განიზრახა, რომ წარმოეშვა ასეთი თავდაცვის საჭიროება”.⁶⁸

ერთმანეთისგან გასამიჯნია მართლზომიერებისა და დასჯადობის საკითხი განზრახი დანაშაულისთვის. მაგალითად, თუ მომგერიებელი ახდენს თავდასხმის

⁶⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი”, 2011, გვ. 374-376.

⁶⁶ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი”, თბილისი 2016, გვ. 247.

⁶⁷ Browne [1973] N1 96 at 107, CCA, განხილულია 24 NILQ 527.

⁶⁸ Smith John and Hogan Brian, Eight Edition, Butterworths, London, Edinburgh, Dublin, 1996, გვ. 264.

განზრახ, გამიზნულ და ზოგჯერ შეგნებულ პროვოკაციას, ეს არ უნდა ჩაითვალოს, როგორც აუცილებელი მოგერიების უფლების წარმომშობად. შესაძლოა ზემოაღნიშნული გამოიხატოს სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხ ქმედებაში, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ ის არის მართლსაწინააღმდეგო. მაგალითად, თუ ქმედება არ არის სოციალურ-ეთიკურად გასაკიცხი, მაშინ აუცილებელი მოგერიების უფლება არ შეიზღუდება.

რაც შეეხება აუცილებელი მოგერიების უფლების შეზღუდულ ფორმას, ის არსებობს ისეთი თავდასხმის დროს, რომელიც გამოწვეულია არაგანზრახი, გაუფრთხილებლობითი, არაშეგნებული და წინდახედულობის ნორმის დარღვევით გამოწვეული ბრალეული პროვოკაციის დროს.

რთული დასასაბუთებელია თეორიულად, თუ როგორ მოიქცევა პიროვნება აუცილებელი მოგერიების დროს. მაგალითად, თავს აარიდებს ხელმყოფს, თუ საშველად მოუხმობს სხვა პირს; შეეცდება მოიგერიოს თავდამსხმელი თავდაცვითი საშუალებით, თუ დააზინებს ხელმყოფს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი დღემდე პრობლემურია.

სასამართლო პრაქტიკა

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #139

მარტი, 2011

ჯულიანი და გაჯიო (*Giuliani and Gaggio*) იტალიის წინააღმდეგ - 23458/02

გადაწყვეტილება 24.3.2011 [დპ]

მე-2 მუხლი პოზიტიური

ვალდებულებები მუხლი 2.1

სიცოცხლე ეფექტური გამოძიება

მუხლი 2.2 ძალის გამოყენება

დიდი რვიანის სამიტზე უშიშროების სამსახურების წარმომადგენლის მიერ დემონსტრანტის მიმართულებით სასიკვდილო გასროლა: დარღვევას არ ქონდა ადგილი

ფაქტები - გენუაში დიდი რვიანის სამიტზე ნებადართული დემონსტრაციისას უკიდურესად ძალადობრივი შეტაკება დაიწყო ანტი-გლობალისტური მოძრაობის აქტივისტებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის. ჯიპი სამი კარაბინერით შეიჭრა დემონსტრანტებში და აღმოჩნდა მათ თავდასხმის ქვეშ. ერთერთ კარაბინერს, რომელიც დაზარალდა ცრემლსადენი აირის მოქმედებით, მეთაურმა ოფიცერმა ნება დართო დაბრუნებულიყო ჯიპში შეტაკებისთვის თავის დასაღწევად. დაზიანებულმა და პანიკაში მყოფმა ორი გასროლა გააკეთა ავტომობილის გარეთ, რის შედეგადაც კარლო ჯილიანის ტყვია მოხვდა სახეში და მიიღო სასიკვდილო ჭრილობა. ავტომობილის დაძვრის მცდელობისას მძღოლმა ორჯერ გადაუარა ახალგაზრდა მამაკაცის უძრავ სხეულს. იტალიის სახელმწიფო ორგანოებმა გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყეს. განზრახი მკვლელობის

ბრალდებით სისხლის სამართალწარმოება დაიწყო ოფიცრის მიმართ, რომელმაც გასროლა განახორციელა და ასევე მძღოლის მიმართ. აუტოფსიამ გამოავლინა, რომ სიკვდილი გასროლის შედეგად დადგა. სახელმწიფო პროკურორის სამსახურმა მოითხოვა სამი ექსპერტის დასკვნა და გასცა სხეულის კრემაციის ნებართვა. გამომძიებელმა მოსამართლემ შეწყვიტა საქმისწარმოება.

2009 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებაში (იხილეთ საინფორმაციო შეტყობინება #122), სასამართლოს პალატამ ერთხმად დაადგინა, რომ მე-2 მუხლის დარღვევას არ ქონდა ადგილი ძალის გადამეტებასთან მიმართებით. მან ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ დაადგინა, რომ მე-2 მუხლი არ დარღვეულა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან მიმართებით, დაეცვა სიცოცხლე და ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა ამავე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პროცესუალური ვალდებულებები.

კანონმდებლობა - მე-2 მუხლი: მატერიალური მხარე

სასიკვდილო ძალის გამოყენება: კარაბინერის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენებამდე მისვლის და შემდგომი მომენტები დაფიქსირებული იყო ფოტო და ვიდეო გადაღებით. გადაღებული მასალიდან ნათლად ჩანდა, რომ მეტად ძალადობრივი და უკანონო თავდასხმა განხორციელდა სამართალდამცავების ავტომობილის მიმართ, რომელიც მხოლოდ ცდილობდა გაცლოდა მოვლენათა ადგილს და არ უქმნიდა საფრთხეს დემონსტრანტებს. ამ უკიდურესად დამაბულ სიტუაციაში, კარლო ჯულიანიმ გადაწყვიტა აელო მიწაზე დავარდნილი ცეცხლსაქრობი და ასწია ის მკერდის სიმაღლეზე აშკარა განზრახვით, ესროლა ის ავტომობილში მსხდომების მიმართულებით. მისი მოქმედებები კარაბინერების მიერ შეიძლება გონივრულად აღქმულიყო იმის მინიშნებად, რომ მიუხედავად მათი მხრიდან სიტყვიერი გაფრთხილებისა და იარაღის დემონსტრირებისა, ჯიპზე თავდასხმა არ შეწყდებოდა ან შენელებოდა. უფრო მეტიც, დემონსტრანტთა უმრავლესობა აგრძელებდა თავდასხმას. ამის შედეგად ოფიცრების გულწრფელი რწმენა რომ მათი და მათი კოლეგების სიცოცხლე საფრთხეში იყო მხოლოდ გაძლიერდებოდა. ეს გახდა თავდაცვის პოტენციურად

სასიკვდილო საშუალების, როგორც არის გასროლა, გამოყენების გამამართლებელი არგუმენტი. ამასთან, გასროლის მიმართულება ზუსტად ვერ დადგინდა. კარაბინერებს თავდაცვის მიზნით შეეძლოთ გაესროლათ მხოლოდ ვიწრო სივრცეში, სათადარიგო საბურავსა და ჯიპის სახურავს შორის. ის ფაქტი, რომ ამ სივრცეში განხორციელებული გასროლა ერთერთ თავდამსხმელის დაზიანების ან თუნდაც სიკვდილის რისკს ქმნიდა, რაც სამწუხაროდ დადგა კიდევ, არ ნიშნავს იმას, რომ თავდაცვის ღონისძიება იყო გადამეტებული ან არაპროპორციული. შესაბამისად, სასიკვდილო ძალის გამოყენება იყო აბსოლუტურად აუცილებელი „ნებისმიერი ადამიანის უკანონო ძალადობისგან დასაცავად“ 2.2.ა მუხლის მიზნებისთვის. დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ცამეტი ხმა ოთხის წინააღმდეგ).

სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემული იარაღისა და სასიკვდილო ძალის გამოყენების მარეგულირებელი კანონმდებლობა. ძალის გამოყენების მარეგულირებელი ნორმები არ იყო მოცემული მე-2 მუხლის იდენტურად, მაგრამ მიუხედავად ამისა ასახავდა მას და ნორმების ფორმულირებაში განსხვავება შეიძლება გადალახულიყო ეროვნული სასამართლოების განმარტებით. არგუმენტი იმის შესახებ, რომ სამართალდამცავი ორგანოები აღჭურვილი უნდა ყოფილიყო არასასიკვდილო იარაღით, არ იყო რელევანტური იმ საქმისთვის, რომელშიც ადამიანი მოკლულ იქნა მოულოდნელი და ძალადობრივი თავდასხმის დროს, რამაც გარდაუვალი და მაღალი საფრთხე შეუქმნა სამი კარაბინერის სიცოცხლეს. დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ათი ხმა შვიდის წინააღმდეგ).

ოპერაციების ორგანიზება და დაგეგმვა შესაბამისობაში იყო თუ არა სიცოცხლის დაცვის ვალდებულებასთან: სასიკვდილო გასროლამდე რამდენიმე წუთით ადრე ჯიპზე მოულოდნელი თავდასხმა განხორციელდა შედარებით მშვიდ გარემოში და შესაბამისად არ იყო განჭვრეტადი. უფრო მეტიც, ღონისძიების პატრულირებისთვის დიდი რაოდენობით პერსონალი გამოიყო, რომლებიც განეკუთვნებოდნენ სპეციალურ დანაყოფებს ან გავლილი ქონდათ სპეციალური

სწავლება. მათი რაოდენობიდან გამომდინარე, არ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ მათ ქონოდათ გრძელვადიანი გამოცდილება და/ან გავლილი ქონოდათ რამდენიმე თვიანი ან წლიანი სწავლება. ასეთი მოთხოვნები შეიძლება დადგენილიყო მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები მუშაობდნენ კონკრეტულ და იდენტიფიცირებად ჯგუფთან. შესაბამისად, მე-2 მუხლის დარღვევა ვერ დადგინდებოდა გენუაში დიდი რვიანის შეხვედრისთვის იმ კარაბინერის შერჩევის საფუძველით, რომელიც მხოლოდ ოცი წლისა და თერთმეტი თვის იყო იმ დროისთვის და მხოლოდ ათ თვიანი ნამსახურობა ქონდა. უფრო მეტიც, ჯიპზე თავდასხმის დროს კარაბინერის მოქმედებები არ იქნა მიჩნეული მეორე მუხლის მატერიალური მხარის დარღვევად და ბოლოს, კარაბინერის მიერ ჯიპზე თავდასხმამდე მცირე დროში მიღებული გადაწყვეტილება, აერჩია ავტომობილი, გზა, რომელსაც დაადგა და დაშავებული ოფიცრის მიერ იარაღის ტარება, რომელსაც აღარ შეეძლო მოვალეობის შესრულება, არ ექვემდებარებოდა კრიტიკას. რაც შეეხება სასიკვდილო გასროლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, არ არსებობდა მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა, რომ კარგო ჯულიანის გაუწიეს არაადეკვატური დახმარება ან დახმარება დაგვიანებული იყო ან რომ მის სხეულზე ჯიპით გადავლა განზრახი იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც აუტოფსიით დადგინდა ტვინის დაზიანებები იმდენად მძიმე იყო, რომ სიკვდილი სულ რამდენიმე წუთში დადგა. შესაბამისად, იტალიის სახელმწიფო ორგანოებს არ დაურღვევიათ მათი ვალდებულებები, მიეღოთ მათგან გონივრულად მოსალოდნელი ყველა ზომა, პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით გარანტიების საჭირო ხარისხის უზრუნველსაყოფად. დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ათი ხმა შვიდის წინააღმდეგ).

პროცესუალური მხარე - ეროვნული გამოძიება საკმარისად ეფექტიანი იყო იმისთვის რომ შესაძლებელი გამხდარიყო იმის განსაზღვრა, გამართლებული იყო თუ არა სასიკვდილო ძალის გამოყენება და პატრულირების ორგანიზება და დაგეგმვა იყო თუ არა სიცოცხლის დაცვის ვალდებულების შესატყვისი.

მართალია განმცხადებლებს (კარგო ჯულიანის მშობლებსა და დას) არ ქონდათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ საქმისწარმოებაში, როგორც სამოქალაქო მხარეები, მათ მაინც ქონდათ უფლებები და უფლებამოსილება როგორც დაზარალებულ მხარეებს, რაც გამოიყენეს კიდევ გამოძიების პროცესში. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთათვის აუტოფსიის შესახებ შეტყობინების გაგზავნას შესწავლის დაწყებამდე სამი საათით ადრე შეეძლო გაერთულებინა, თუ არა შეუძლებელი გაეხადა დაზარალებული მხარისთვის მათი არჩეული ექსპერტის დანიშვნის უფლებამოსილების განხორციელება და სასამართლო ექსპერტიზაზე მისი დასწრების უზრუნველყოფა, მე-2 მუხლით არ მოითხოვება დაზარალებულის ნათესავთათვის ამ შესაძლებლობის შექმნა. რაც შეეხება სასამართლო ექსპერტების მიერ დაზარალებულის თავიდან ტყვის ამოღებისა და მისი ფრაგმენტების შენახვის შეუსრულებლობას, ძალის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში გამართლებული იქნებოდა მე-2 მუხლის მატერიალური მხარის გადმოსახედიდან. შესაბამისად სადავო მეტალის ფრაგმენტი არ იყო არსებითი გამოძიების ეფექტიანობისთვის. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სხეულის კრემაცია, რაც შეუძლებელს გახდიდა შემდგომ სასამართლო ექსპერტიზას, განმცხადებლების მოთხოვნით განხორციელდა.

სახელმწიფო ბრალდების ორგანოების მიერ შეგროვებული მტკიცებულებების, კერძოდ კი ჯიპზე თავდასხმის ფოტო და ვიდეომასალის საფუძველზე გონივრულ ეჭვს მიღმა დადგინდა, რომ კარაბინერი მოქმედებდა თავდაცვის ფარგლებში, რაც იტალიური სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად გამართლების საფუძველია.

არ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ბრალდების ორგანოებმა უპირობოდ მიიღეს მოვლენებში ჩართული სამართალდამცავი ორგანოების ოფიცერთა მიერ მიწოდებული ვერსიები. ის ფაქტი, რომ კარაბინერს დაევალა კონკრეტული ობიექტური ტექნიკური შემოწმების გავლა, აშკარად არ უმოქმედია გამოძიების დამოუკიდებლობაზე. უფრო დელიკატური საკითხი წამოიჭრა პროკურატურის ორგანოების მიერ ბალისტიკური ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებით,

რომელმაც სპეციალიზებულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში აშკარად დაიცვა მოსაზრება, რომ კარაბინერი მოქმედებდა თავდაცვის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიების მიზნებისთვის მოთხოვნილი ექსპერტის დასკვნები სხვა საშუალებებთან ერთად მომზადდა ამ მოსაზრების მხარდამჭერი ან საწინააღმდეგო მტკიცებულების უზრუნველსაყოფად, ექსპერტის მონაწილეობა, რომელსაც წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი გააჩნდა ამ საკითხზე, შორს იყო საპირისპიროს მტკიცებისგან. თუმცა, განსახილველი ექსპერტი ოთხკაციანი ექსპერტთან ჯგუფის ერთი წევრი იყო და ბალისტიკური დასკვნისთვის მის მიერ ჩასატარებელი შემოწმება არსებითად ობიექტური და ტექნიკური ხასიათის იყო. შესაბამისად, მისი არსებობა რისკის ქვეშ არ აყენებდა ეროვნულ დონეზე გამოძიებას. უფრო მეტიც, განმცხადებლებმა ვერ დაამტკიცეს, რომ გამოძიება არ იყო ობიექტური და დამოუკიდებელი. და ბოლოს, გამოძიება წარმართა შესაბამისი გულმოდგინებით და არ შეიძლება ითქვას, რომ შეფერხდა გადაჭარბებული გაჭიანურებით ან დროის გაცდენით. დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ათი ხმა შვიდის წინააღმდეგ).

დიდმა პალატამ ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ ასევე დაადგინა, რომ ადგილი არ ქონია მე-13 მუხლის დარღვევას და ერთხმად დაადგინა, რომ ადგილი არ ქონდა 38-ე მუხლის დარღვევას.⁶⁹

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #147
დეკემბერი, 2011

ფინოგენოვი (*Finogenov*) და სხვები რუსეთის წინააღმდეგ - 18299/03
გადაწყვეტილება 20.12.2011 [I სექცია] მე-2 მუხლი პოზიტიური ვალდებულებები
მუხლი 2.1 ეფექტური გამოძიება

⁶⁹ ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012.

www.coe.int/humanrightstrustfund.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #139 მარტი, 2011

მძევალთა გათავისუფლების ოპერაციის არაადეკვატური მომზადება და ეფექტური გამოძიების არ არსებობა: დარღვევა

მუხლი 2.2 ძალის

გამოყენება

მძევალთა სიკვდილი მძევლების ამყვანთა განეიტრალებისთვის პოტენციურად სასიკვდილო აირის გამოყენების შედეგად: დარღვევას არ ქონდა ადგილი.

ფაქტები - 2002 წლის 23 ოქტომბრის საღამოს ჩეჩნეთის სეპარატისტულ მოძრაობაში შემავალმა შეიარაღებული ტერორისტების ჯგუფმა მოსკოვის „დუბროვკის“ თეატრში მყოფი 900-მდე ადამიანი მძევლად აიყვანა. განმცხადებლებს წარმოადგენენ მძევლები ან გათავისუფლების ოპერაციის შედეგად გარდაცვლილ მძევალთა ნათესავები. მძევლები იარაღის მუქარის ქვეშ იმყოფებოდნენ, ხოლო თეატრის შენობა - დანადმული. ტერორისტები ითხოვდნენ რუსეთის სამხედრო ძალების დაუყოვნებელ გაყვანას ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან. წარმართა მოლაპარაკებები და ტერორისტებმა რამდენიმე მძევალი მოკლეს. სახელმწიფო ორგანოებმა ფედერალური უშიშროების სამსახურის დაქვემდებარებაში შექმნეს „კრიზისული უჯრედი“, რომელიც პასუხისმგებელი იყო გათავისუფლების ოპერაციის დაგეგმვაზე. 2002 წლის 26 ოქტომბერს უშიშროების ძალებმა შენობის სავენტილაციო სისტემის მეშვეობით ძირითად აუდიტორიაში შეუშვეს ნარკოტიკული აირი. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც ტერორისტთა უმრავლესობამ აირის ზემოქმედებით გონება დაკარგა, სპეციალურმა რაზმმა აიღო შენობა და დახოცა მათი უმრავლესობა. შემდეგ განხორციელდა შენობიდან მძევალთა ევაკუაცია და ისინი სასწრაფო დახმარების მანქანებითა და ავტობუსებით გადაიყვანეს საავადმყოფოებში. თუმცა, 125-მდე მძევალი გარდაიცვალა ადგილზე, ტრანსპორტირებისას ან საავადმყოფოში. მომხდართან დაკავშირებით დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება, თუმცა შემდეგ გადაწყდა, გამოძიება არ გაგრძელებულიყო გათავისუფლების ოპერაციის დაგეგმვასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განმცხადებელთა საჩივრები სისხლის სამართლის

საქმესთან დაკავშირებით და სამოქალაქო სარჩელები არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ კომპენსაციის მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა.

კანონმდებლობა - მე-2 მუხლი

ნორმის მოქმედება – მძვეალთა მასობრივი გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა მათი დასუსტება შიმშილით ან მძიმე დაავადებით. ოფიციალურ ექსპერტთა დასკვნები უთითებდა, რომ არ არსებობდა „პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი“ გარდაცვალებასა და აირის გამოყენებას შორის, რაც ერთერთი იყო მრავალ ფაქტორთა შორის. [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ ასეთი დასკვნა ძნელად მისაღებად მიიჩნია. მან მიიჩნია, რომ წარმოდგენელია სხვადასხვა ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის 125 ადამიანი თითქმის ერთდროულად გარდაიცვალოს მანამდე არსებული ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის შედეგად. მათი სიკვდილი ასევე არ შეიძლება დაუკავშირდეს პირობებს, რომელშიც ისინი ბოლო სამი დღის მანძილზე იყვნენ, რა დროსაც არავინ დალუპულა მიუხედავად იმისა, რომ სტრესულ გარემოსთან ერთად მათ არ მიეწოდებოდათ საკვები და წყალი. მოპასუხე სახელმწიფომ აღიარა, რომ შეუძლებელი იყო აირის მოქმედების შედეგების განჭვრეტა და გარკვეული დანაკარგი გარდაუვალი იყო, რადგანაც აირი არ იყო უვნებელი. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მათ არ ქონდათ განზრახული ტერორისტებისა და მძევლების დახოცვა, აირი საშიში იყო და დასუსტებულთათვის კი სასიკვდილოც კი. შესაბამისად დასაშვებია იმის ვარაუდი, რომ აირი იყო მსხვერპლთა უმრავლესობის გარდაცვალების პირდაპირი მიზეზი. შესაბამისად, საქმე კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლებშია.

მატერიალური მხარე

მალის გამოყენება: განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ შესაძლებელი იყო მძევლების პრობლემების მოგვარება მშვიდობიანად და არავინ დაილუპებოდა, თუ ხელისუფლების ორგანოები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისთვის მდგომარეობა მეტად საგანგაშო იყო:

დასახული მიზნისთვის თავდადებულმა მძიმედ შეიარაღებულმა სპეციალისტებმა მძევლები აიყვანეს და არარეალურ მოთხოვნებს აყენებდნენ. პირველ დღეს გამართულმა მოლაპარაკებებმა ვერანაირი ხილული შედეგი ვერ გამოიღო და მძევალთა მდგომარეობა უარესდებოდა. არსებობდა ადამიანთა მასობრივი დაკარგვის რეალური, მწვავე და დაუყოვნებელი რისკი და ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ ყველანაირი საფუძველი ევარაუდათ, რომ ძალისმიერი ჩარევა გარდაუვალი იყო. შესაბამისად მათი გადაწყვეტილება, შეეწყვიტათ მოლაპარაკება და შტურმით აეღოთ შენობა არ მოდის წინააღმდეგობაში მე-2 მუხლთან.

აირის გამოყენება: მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობით დასაშვები იყო ტერორისტების წინააღმდეგ იარაღისა და სპეციალური დანიშნულების ლითონის ნაკეთობებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, ის კონკრეტულად არ მიუთითებდა დასაშვები იარაღისა და საშუალებების კონკრეტულ სახეობაზე ან გარემოებებზე, რომელთა არსებობისას შეიძლებოდა მათი გამოყენება. თუმცა კანონის ზოგადი ბუნდოვანება აუცილებლად არ იწვევს მე-2 მუხლის დარღვევას, კერძოდ არა სრულად განუჭვრეტად და საგამონაკლისო სიტუაციაში, რომელიც უცაბედია და მიზანმიმართულ რეაგირებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი აირი საშიში იყო და პოტენციურად სიკვდილის გამომწვევიც, ის არ იყო მიმართული სიცოცხლის მოსპობაზე და არ შეიძლება ჩაითვალოს რომ მისი გამოყენება მოხდა „დაუდევრად“, რადგანაც ამან მძევლებს გადარჩენის მაღალი შანსი დაუტოვა, მომდევნო სამაშველო ღონისძიებების ეფექტიანობის გათვალისწინებით. ყველა მტკიცებულება უთითებს, რომ აირს ქონდა სასურველი შედეგი, გამოიწვია რა ტერორისტების უმრავლესობის გონების დაკარგვა და შესაბამისად ხელი შეუწყო მძევალთა გათავისუფლებას და აფეთქების საფრთხის შემცირებას. დადგენილება: დარღვევას არ ქონდა ადგილი (ერთხმად).

სამაშველო ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება: სასამართლომ ასევე განიხილა, მოხდა თუ არა სამაშველო ოპერაციის დაგეგმვა და განხორციელება

მე-2 მუხლიდან გამომდინარე მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესაბამისად, კერძოდ კი, შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა მიიღეს თუ არა უსაფრთხოების ყველა აუცილებელი ზომა მძევლებზე აირის მოქმედების მინიმიზებისთვის, მოხდა თუ არა მათი სწრაფი ევაკუაცია და გაეწიათ თუ არა მათ აუცილებელი სამედიცინო დახმარება.

ჩატარებული ოპერაცია არ იყო სპონტანური, ვინაიდან სახელმწიფო ორგანოებს დაახლოებით ორი დღე ქონდათ რეაგირებისთვის და საგანგებო მომზადებისთვის. მათ გარკვეული თადარიგი მართლაც დაიჭრეს: მოხდა ასობით ექიმის, მაშველისა და სხვა პერსონალის მობილიზება, საავადმყოფოების მიერ მიღების შესაძლებლობა გაიზარდა და სასწრაფო დახმარების ჯგუფები გაფრთხილებული იქნა მასობრივი ევაკუაციის სავარაუდო საჭიროების შესახებ. თუმცა, თავდაპირველი სამაშველო გეგმა ვერ განხორციელდა მრავალი მიმართულებით: ოპერაციაში ჩართული სხვადასხვა სამსახურის ცენტრალიზებული კოორდინირება არ ხდებოდა; არ არსებობდა ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავდა მსხვერპლთა და მათი მდგომაროების შესახებ ინფორმაციის გაცვლის წესს (ამის ერთერთი შედეგი იყო ის, რომ რამდენიმე დაზარალებულმა მიიღო ანტიდოტის რამდენიმე დოზა); მედ-პერსონალისთვის არ იყო ნათელი პრიორიტეტების მიმდევრობა; საქალაქო ავტობუსებით დაზარალებულთა ტრანსპორტირებისას მათ სამედიცინო დახმარება არ გაეწეოდათ; და მსხვერპლთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ერთსა და იმავე დროს იმავე საავადმყოფოში მიყავდათ, რადგანაც არ იყო მათი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში გადანაწილების გეგმა.

სამაშველო ოპერაციის განხორციელებისას ასევე გამოიკვეთა პრობლემები: ვინაიდან თავდაპირველი გეგმა მომზადდა იმ ვარაუდით, რომ მძევლები დაზიანებებს მიიღებდნენ აფეთქებით ან ცეცხლსასროლი იარაღით, ტოქსიკოლოგები არ იყვნენ მოწვეული და მაშველებსა და ექიმებს არ ქონდათ სპეციალური ინსტრუქტაჟი უცნობი აირით მოწამლულ მძევლებზე ზრუნვის შესახებ; სავარაუდოა, რომ მათ არ იცოდნენ აირის გამოყენების შესახებ

ევაკუაციის დასრულებამდე, რაც ასევე ხსნის იმას თუ რატომ ხდებოდა ევაკუირებულ მსხვერპლთა იატაკზე პირადმა დაწვენა, რამაც გაზარდა მძევალთა შორის გაგუდვისა და სიკვდილიანობის რისკი. მართლაც რთულია გაიგო, თუ რატომ არ მიაწოდეს ექიმებსა და მაშველებს აირის შესახებ ინფორმაცია თავიდანვე, მის გამოყენებამდე ან მინიმუმ მისი გამოყენებისთანავე და რატომ დაიწყო ევაკუაცია ასეთი დაგვიანებით, რის შედეგადაც გონებადაკარგულ მძევალთა უმრავლესობა ერთ საათზე მეტი ხნით აირის მოქმედების ქვეშ აღმოჩნდა. მრავალი მოწმე უთითებდა ასევე ანტიდოტის სიმცირეზე და ასევე ანტიდოტის გამოყენების ადმინისტრირების გაურკვევლობაზე, გაუგებარი იყო თუ როგორ უნდა განესხვავებინათ ადამიანები, ვინც მიიღო ანტიდოტი, იმათგან - ვისაც არ მიუღია.

ყველა ეს ფაქტორი მიუთითებს იმაზე, რომ სამაშველო ოპერაცია არ იყო სათანადოდ მომზადებული და რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მე-2 მუხლის შესაბამისად მისი პოზიტიური ვალდებულებების შესრულება. დადგენილება: დარღვევა (ერთხმად).

პროცესუალური მხარე - სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით გამოძიება იყო აშკარად არასრული. პირველ ყოვლისა, გამოძიების ფარგლები ძალიან ვიწროდ განისაზღვრა, გამოირიცხა რა ნებისმიერი დაუდევრობა ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენელთა მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებლები შეეხნენ სამაშველო ოპერაციის დაგეგმვასთან და წარმართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაძლო დაუდევრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მრავალი ფაქტი არასდროს დადგენილა. უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აირის ფორმულა გამომძიებლებს არასდროს გაუმხელიათ, არც ის დადგენილა, თუ როდის გადაწყდა აირის გამოყენება ან რა დრო იყო შესაძლო გვერდითი მოვლენების შესაფასებლად. ამის დადგენა ასევე შეუძლებელი იყო „კრიზისული უჯრედის“ სამუშაო დოკუმენტაციის საფუძველზე, რადგანაც მოპასუხე სახელმწიფოს განცხადებით ეს დოკუმენტაცია გაანადგურეს. იმის გათვალისწინებით, რომ ეს დოკუმენტები შეიძლება ყოფილიყო სამაშველო ოპერაციის დაგეგმვისა და წარმართვის შესახებ ინფორმაციის არსებითი წყარო,

სასამართლომ დოკუმენტების ასეთი განურჩეველი განადგურება გაუმართლებლად მიიჩნია. უფრო მეტიც, გამომძიებლებმა არ დაკითხეს „კრიზისული უჯრედის“ ყველა წევრი, კერძოდ კი ისინი, ვინც პასუხისმგებელი იყო აირის გამოყენების გადაწყვეტილებაზე და დოზირების განსაზღვრაზე; არც სხვა მოწმეები, როგორებიც არიან ავტობუსის მძღოლები, ჟურნალისტები და სხვები, ვინც ეხმარებოდნენ აირით მოწამლულთა გადაყვანაში. არასდროს დადგენილა თუ რამდენი ექიმი ასრულებდა მოვალეობას ოპერაციის დღეს და თუ რა ინსტრუქციები გაიცა სასწრაფო დახმარების მანქანებსა და ავტობუსებზე დაზარალებულთა ტრანსპორტირების შესახებ. ასევე არასდროს დადგენილა თუ რატომ დაიწყო მასობრივი ევაკუაცია ოპერაციის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ და რა დრო დასჭირდა ტერორისტების მოკვლასა და მათი ნაღმების განეიტრალებას. და ბოლოს, გამომძიებელთა ჯგუფი არ იყო დამოუკიდებელი, რადგანაც მასში შედიოდნენ იმ სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლები, რომლებიც პირდაპირ იყვნენ პასუხისმგებელი სამაშველო ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაზე. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ორგანოთა დაუდევრობასთან მიმართებით გამოძიება არც ამომწურავი და არც დამოუკიდებელი არ ყოფილა და შესაბამისად იყო „არაეფექტიანი“. დადგენილება: დარღვევა (ერთხმად).

41-ე მუხლი: 8 000 ევროდან 66 000 ევრომდე ანაზღაურება განესაზღვროს თითოეულ განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.⁷⁰

⁷⁰ ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012.

(www.coe.int/humanrightstrustfund).

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე # 147 დეკემბერი, 2011

დასკვნა

აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტზე მსჯელობა მრავალხმრივ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების ინსტიტუტის განვითარებას მყარი დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, რაც გამოიკვეთა ნაშრომში სხვადასხვა თეორიების მიმოხილვის დროს. სწორედ ზემოაღნიშნული თეორიების მიხედვით ხდებოდა ამ ინსტიტუტის დასაბუთება და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში მისი ადგილის განსაზღვრა სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ. აუცილებელი მოგერება წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ყველაზე მნიშვნელოვან გარემოებას არა მარტო ქართული, არამედ ნებისმიერი სხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მიხედვით. ადამიანის ბუნებითი უფლებაა თავდასხმისგან თავდაცვა. აუცილებელი მოგერიების მართლწინააღმდეგობის ცალკეული საკითხები განსხვავებულად არის მოწესრიგებული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში, მაგრამ ის პოზიტიური სამართლითაც არის საყოველთაოდ აღიარებული. მაგალითად, კონტინენტალურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის მიხედვით, ქონებრივი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომაა მომგერიებლის უკან დახევის ვალდებულებასთან. აუცილებელი მოგერიების უფლების სამართლებრივი საფუძვლები განხილულია სისხლის სამართლის კანონში. მისი სტრუქტურისა და შინაარსის ჩამოყალიბება მოხდა სასამართლო პრაქტიკის და სისხლის სამართლის დომატიკის მეშვეობით. ნაშრომში განხილულ იქნა მართლწინააღმდეგო ხელყოფა, აუცილებელი მოგერიების მართლწინააღმდეგობის პირობები და ასევე მნიშვნელოვანი საკითხი როგორცაა: აუცილებელი მოგერიების ფარგლების სოციალურ-ეთიკური შეზღუდვის ან გამორიცხვის შემთხვევების დადგენა, რომელიც ზემოთ იყო წარდგენილი. ცალკე იქნა განხილული მართლწინააღმდეგო ხელყოფის რელევანტურობისა და მისგან თავდაცვის

ნებადართულობის საკითხი აუცილებელი მოგერიების ფარგლებზე მსჯელობის დროს. სოციალურ–ეთიკური მომენტებიდან გამომდინარე გამოიყო შემთხვევათა ჯგუფები, რომლებიც ახდენენ აუცილებელი მოგერიების უფლების ნორმატიულ შეზღუდვას ან საერთოდ გამორიცხავენ მას. ცალკე იქნა განხილული ნაშრომში აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია და მისი სახეები, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი 1999, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 2019.

ქართულენოვანი ლიტერატურა

- 1). ი. ხერხელიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში. თბილისი, 2008. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irine_xerxeulize.pdf ბოლო ნახვა: 16.06.2019. 10:11 სთ.
- 2). ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები., III ტ. თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“.
- 3). ლ. ჭანტურია, საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბილისი, 1998.
<http://library.court.ge/index.php?cat=s> ბოლო ნახვა: 01.05.2019 20:01 სთ.
- 4). ზ. წულაია, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, პირველი ტომი, თბილისი 2000, <http://library.court.ge/index.php?id=5244>. ბოლო ნახვა: 09.05.2019. 10:00 სთ
- 5). თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 1988.
- 7). საქართველოს სსკ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, <https://www.scribd.com/document/283422210/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1->

[%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-](#)

[%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98](#); ბოლო ნახვა: 19.06.2019

14:06 სთ.

8). მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, გამომცემელი „ბონა კაუზა“, თბილისი 2010.

9). მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011.

10). ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, „დანაშაული და მისი აგებულება“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

11). ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016. <http://www.library.court.ge/upload/ac.pdf> ბოლო ნახვა: 19.06.2019 14:59 სთ.

უცხოურენოვანი ლიტერატურა

1). Комментарий к Уголовному Кодексу Российской Федерации, 2002. ТОМ 1, 2-е издание, Под редакцией, А.В. БРИЛЛИАНТОВА.

2). Smith John and Hogan Brian, Eight Edition, Butterworths, London, Edinburgh, Dublin, 1996. http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irine_xerxeulize.pdf ბოლო ნახვა: 19.06.2019 11:54 სთ.

3). Browne [1973] N1 96 at 107, CCA, განხილულია 24 NILQ 527.

http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irine_xerxeulize.pdf ბოლო ნახვა: 19.06.2019 11:56 სთ.

სასამართლო გადაწყვეტილებები

1). საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2002, N12.

2). თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/ზ-570-16.

ინტერნეტრესურსი

- 1). ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 გადაწყვეტილება. (www.coe.int/humanrightstrustfund).
- 2). http://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irine_xerxeulize.pdf;
- 3). <http://library.court.ge/index.php?cat=s>;
- 4). <http://library.court.ge/index.php?id=5244>;
- 5). <https://www.scribd.com/document/283422210/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98#download>
- 6). <http://www.library.court.ge/upload/ac.pdf>;